

# 24 საათი

"24 საათის" ფიქციანი ნომერი \*2424

ინილეთ ჩანართი



ჰონდურასის პრეზიდენტი სამხედროებმა დააბნეს

A8



ქეთი მელუას ქველმოქმედება

A9



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია ინილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



## დავა უსაფრთხოების გარეშე

დინიტრი ავალიანი

კრემლის "იდეა ფიქსი" - ევროპის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა - დასავლეთისთვის კვლავაც გაუგებარი რჩება. კუნძულ კორფუზე გამართულ ეუთო-ს არაფორმალურ მინისტრიალზე ეს კიდევ ერთხელ დაფიქსირდა. უსაფრთხოების გლობალურ საკითხებზე მსჯელობის ნაცვლად, მოსკოვს საკუთარი ვალდებულებების შესრულებას ურჩევნ. იმავდროულად, ნატო-სა და რუსეთს შორის ავღანეთის მიმართულებით ალიანსის ტვირთების ტრანზიტზე შეთანხმების მიღწევა მოხერხდა. თუმცა, ექსპერტები აცხადებენ, რომ ამ გარიგებას დასავლეთი საქართველოს ხარჯზე არ დადებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ნალბანდოვის განცხადებით, კუნძულ კორფუზე და ვენაში გამართული შეხვედრებისას, რუსეთმა მიიღო მთავარი გზავნილი, რომლის მიხედვითაც, მან უნდა შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულებები.

ბაზრძალაბა A3 გვერდზე



დორა ბაკოიანისმა კორფუს სამიტის შედეგებს საგაზეთო სტატია მიუძღვნა.

## ფეთქებადსაშიხ სიტუაციაში

ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის ოპერატიულ-სტრატეგიულ წვრთნა "კავკასია 2009", რომელიც გუშინ დაიწყო და 6 ივლისამდე გაგრძელდება, რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბის უფროსი ნიკოლაი მაკაროვი უხელმძღვანელებს. აღნიშნულ სამხედრო სწავლებაში, დაახლოებით, 8 ათას 500 ადამიანი მიიღებს მონაწილეობას, ამოქმედდება 200 ტანკი, 450 დაჯავშნული ავტომობილი და 250-მდე საარტილერიო დანადგარი.

ნათია მსხილაძე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სამხედრო სწავლება "კავკასია 2009"-ს რუსეთის სახიფათო პროვოკაციად აფასებს. "შემაფოთებელია ის სამხედრო პოტენციალი, რომელიც ამ სწავლებაში მონაწილეობს, თუმცა უფრო მეტად შემაფოთებელია რუსეთის თავდაცვის უწყების მაღალჩინოსანთა განცხადება იმის შესახებ, რომ სწავლების დროს აპირებენ იმ გამოცდილების გამოყენებას, რომელიც საქართველოსთან ომის დროს მიიღეს," - განაცხადა საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოადგილემ ალექსანდრე ნალბანდოვმა კვირის შემაჯამებელ ბრიფინგზე.

საგარეო უწყება სწავლების მიმდინარეობას ყურადღებით დააკვირდება და საერთაშორისო საზოგადოებს ყველა დეტალის შესახებ მიაწვდის ინფორმაციას.

"მთელი საერთაშორისო საზოგადოება ამ სწავლებას უკვე აღიქვამს, როგორც რუსეთის მიერ ძალიან სახიფათო პროვოკაციას. არსებულ ფეთქებადსაშიხ სიტუაციაში ასეთი სამხედრო პოტენციალის დემონსტრირება სხვა არაფრის მომტანია, თუ არა სიტუაციის დაძაბვისა," - განმარტა მინისტრის მოადგილემ და იმედი გამოთქვა, რომ რუსეთი საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლიან შემოფოთებას გაითვალისწინებს. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელ გოკა გაბაშვილს იმედი აქვს, რომ რუსეთი "კავკასია 2009"-ს არ დაასრულებს ისე, როგორც ეს "კავკასია 2008"-ის შემთხვევაში მოხდა. "მოსკოვის მხრიდან მოსალოდნელი პროვოკაციების აცილების ერთადერთი გარანტი ქვეყნის შიგნით სიმშვიდე და საქართველოს მოკავშირეების მტკიცე პოზიციაა.

ბაზრძალაბა A3 გვერდზე

## პარლამენტის საბარეო და საშინაო "საზრუნავი"

გიორგი ასანიძე

მართალია, პარლამენტის საგაზეთო სესია 26 ივნისს ოფიციალურად დაიხურა, მაგრამ იმის გამო, რომ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ორ თვეზე მეტ ხანს ნორმალურად ვერ ფუნქციონირებდა, დეპუტატებს "დანაკარგის ანაზღაურება" რიგგარეშე სესიის ფორმატში მოუწევთ. მანამდე კი, ვიდრე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რიგგარეშე სესიის თარიღს და დღის წესრიგს დაამტკიცებს, პარლამენტარები აქტიუალურ თემებზე მსჯელობით არიან დაკავებული. პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე განხილული თითქმის ყველა საკითხი სხვადასხვა "დოზით" რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს ეხებოდა.

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა ექს-მინისტრ კახა თარგამაძის მიერ 28 ივნისს ტელევიზიით გაკეთებული განცხადებები კრემლში დაგეგმილი სცენარის ნაწილია, რომელიც ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ახალი თემების "შემოგდებას"

ისახავს მიზნად. კახა თარგამაძის კატეგორიული უარყოფის მიუხედავად, მიხეილ მაჭავარიანი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ბერლინის შეხვედრაზე საუბარი იყო საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების დამსობაზე და ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლაზე.

პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე რუსეთის მიერ კავკასიაში სამხედრო წვრთნების დაწყებასაც ეხმაურება.

"რუსეთი აგრძელებს საქართველოს საზღვრებთან კუნთების დემონსტრირებას, მაგრამ დღეს ჩვენი ქვეყანა უფრო მეტად არის დაცული, ვიდრე ერთი წლის წინათ. დარწმუნებული ვარ, მოსკოვის პროვოკაციები მიზანს ვერ მიაღწევს," - დაბეჯითებით აცხადებს მაჭავარიანი.

იგი ასევე ღრმად არის დარწმუნებული, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სექტემბრის სხდომაზე, რომელზეც საქართველოსა და რუსეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საკითხი განიხილება, მოსკოვი არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდება.

ბაზრძალაბა A2 გვერდზე

# ვალმერ ბუთბა იარაღის უკანონო ტარებისთვის დააკავეს

ოჩამჩირეთში, 26 ივნისს, დააკავეს აფხაზ სეპარატისტთა სპეცრაზმის უფროსი, აფხაზ სეპარატისტთა სპეცსამსახურების ერთ-ერთი შემქმნელი, პარტია "ერას" წევრი ვალმერ ბუთბა. აფხაზეთის ომში ქართველების წინააღმდეგ გამოჩენილი სისასტიკისთვის მან აფხაზეთის სახალხო გმირის წოდება მიიღო.

ოფიციალური ინფორმაციით, ყოფილმა კოლეგებმა - აფხაზ სეპარატისტთა შსს-ს თანამშრომლებმა ბუთბა ოჩამჩირის მახლობლად მდებარე ოხურის ხიდზე, იმ დროს დააკავეს, როცა გალის რაიონიდან სოხუმში ბრუნდებოდა. არსებული ინფორმაციით, ბუთბა პარტიის თავმჯდომარე ერთ ბუთბას ახლდა. იგი პარტიის აქტივისტებს ხვდებოდა გალის რაიონში. ბუთბას დაკავების ოპერაციას ხელმძღვანელობდა აფხაზ სეპარატისტთა სამძებრო განყოფილების უფროსი გარი არშბა.

გაეროცვლებული ინფორმაციით, ბუთბა მის მანქანაში ჩატარებული ჩხრეკისას აღმოჩენილი იარაღის უკანონო ტარებისთვის დააკავეს. დაკავების სხვა დეტალების თაობაზე აფხაზ სეპარატისტთა ოფიციალური სტრუქტურები მეტს არაფერს იტყობენ.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ სოხუმში არსებულმა ოპოზიციურმა პარტიებმა აფხაზ სეპარატისტთა პრეზიდენტს წერილით მიმართეს, ვალმერ ბუთბას დაკავება "ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ რეპრესიების დაწყებად" შეაფასეს და მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვეს.

"2009 წლის 26 ივნისს, დაახლოებით 12:30 საათზე, ოჩამჩირის მახლობლად, ეკონომიკური განვითარების პარტიის წევრი, აფხაზეთის სახალხო გმირი ვალმერ ბუთბა დააკავეს, რომელიც პარტიის თავმჯდომარეს ახლდა. ბუთბა კამუფლირებული შეიარაღებულმა პირებმა დააკავეს, რომელთაც აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო განყოფილების ხელმძღვანელი არშბა ხელმძღვანელობდა. შეიარაღებულმა პირებმა ბუთბას ავტომანქანა დაათვალიერეს, რომელშიც იარაღი აღმოაჩინეს," - ნათქვამია წერილში.

ოპოზიციური პარტიები პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში ბუთბას მიერ იარაღის ტარებას იმით ხსნის, რომ "გალის რაიონი კვლავინდებურად საშიში ზონაა და აფხაზეთის ყველა მოქალაქე, რომელიც ამ რაიონში ჩადის, იძულებულია, უსაფრთხოების დამატებითი ზომები მიიღოს. გარდა ამისა, პოლიკონტროლი ბუთბა სპეციალურ ფუნქციებს წლების განმავლობაში ასრულებდა სასაზღვრო ზონაში და ქართული ბანდოორმირების, მათ შორის, შეგველია "ტყის ძმების" თავდასხმის ობიექტი არაერთხელ გამხდარა. ამიტომ ის იძულებულია, იარაღი მუდმივად ატაროს, რის შესახებაც რესპუბლიკის ყველა მცხოვრებმა იცის," - ნათქვამია წერილში.

"ჩვენ მივინებთ, რომ ბუთბას დაკავება ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობის დესტაბილიზაციისკენაა მიმართული. ჩვენთვის ნათელია, ხელისუფლება საპრეზიდენტო არჩევნების წინ საზოგადოებაში შიშის ატმოსფეროს შექმნას ცდილობს. მოვითხოვთ პოლიკონტროლს ბუთბას დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანაში სიტუაციის დესტაბილიზაციაზე სრული პასუხისმგებლობა მოქმედ ხელისუფლებას და პირადად პრეზიდენტს ეკისრება," - ნათქვამია წერილში, რომელსაც ხელს აწერენ აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების პარტია, ვეტერანების საზოგადოებრივი ორგანიზაცია "არუაა", აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმი, აფხაზეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია, აფხაზეთის სახალხო პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზაცია "I".

თავის დროზე, ვალმერ ბუთბა 50-კაციანი ბანდიტური დაჯგუფებას მეთაურობდა, რომელიც გალის მოსახლეობას წლების მანძილზე აწიოკებდა, მათ უკანასკნელ სარჩოს ართმევდა. ბუთბა გალის რაიონში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობას გამორჩეული სისასტიკით უსწორდებოდა. ამის გამო, ქართულმა მოსახლეობამ, დახმარების თხოვნით, საქართველოს ხელისუფლებას არაერთხელ მიმართა. ვალმერ ბუთბას სახელი აფხაზეთში მომხდარ არაერთ ხმაურიან მკვლელობას, გატაცებას და სხვა სკანდალურ დანაშაულებს უკავშირდება. წლების მანძილზე მისი დაჯგუფება სხვადასხვა ბიზნესფეროებს აკონტროლებდა, რომელთა გადახანცილების მიზნით მომხდარმა გარჩევამ ასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

საკუთარი ინფორმაცია



შ.ს.ს. "შარა-გ ზამშენი პირველი"-ს კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს კოლეგის და მეგობრის

### კლიმენტი (მისა) ბაგაშრიას

მოულოდნელი გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უტყვადებს განსვენებულის ოჯახს.

# პარლამენტის საბარეო და საშინაო "საზრუნავი"

პირველი გვარდიდან

"ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ სხვადასხვა ქვეყნის დეპუტაციასთან და მათგან ვითხოვთ ადეკვატურ რეაგირებას რუსეთის ქმედებებზე, რომელიც არა თუ არ ასრულებს აღბუღვალვებებს, არამედ პირქით - უფრო აუარესებს მათ. პარტი "შემოთვლების გამოხატვა" საქმეს ველარ შევლის. ვინაიდან რუსი ოკუპანტები საქართველოს ტერიტორიაზე "მტკიცედ" დგანან და გასვლას არ აპირებენ, ჩვენ ვაყენებთ საკითხს, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ შესაბამისი დამოკიდებულება გამოხატოს - იქნება ეს რუსეთისთვის ხმის შეჩერება, ვარიანტი თუ სხვა," - აღნიშნა ბიუროს სხდომის დასრულების შემდეგ "24 საათთან" გაკეთებულ კომენტარში მიხეილ მაჭავარიანმა.

თუმცა, პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერს უჭირს გადაჭრით იმის

თქმა, გამოიყენებს თუ არა ევროსაბჭო რუსეთის მიმართ მკვეთრ ზომებს.

"ჩვენ ევროსაბჭოში ძალიან ბევრი თანამოაზრე გვყავს და ოპონენტიც. ეს უკანასკნელი გვეუბნებიან, რომ ჯობია, რუსეთი დარჩეს ევროსაბჭოში, რადგან გარიცხვის შემთხვევაში, ის კიდევ უფრო არაადეკვატური გახდება. სხვები კი მიიჩნევენ, რომ, თუ რუსეთს პასუხი ახლავს არ ავებს, ხვალ ის უკვე სხვა ქვეყანაში შევარდება. ამ მიდგომას საპარლამენტო ასამბლეაში ძალიან ბევრი მომხრე ვყავს," - აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რომელიც ამავე დროს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრიც არის.

საგარეო-პოლიტიკურ საკითხებთან ერთად, დეპუტატებს, ცხადია, ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენებიც ალღევდები. ოპოზიციის პერმა-

ნენტულმა საპროტესტო აქციამ სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლებს საკმაოდ დიდი "გამოცდილება" შესძინა და ახლა ისინი ცდილობენ, ყოველივე ეს კანონმდებლობაში ასახონ.

კერძოდ, იგეგმება "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონი ცვლილებების შეტანა. ამასთან, როგორც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კულბაშვილი აცხადებს, მოქმედ კანონში რაიმე ახალი ნორმა კი არ შემოდის, არამედ ხდება არსებული ნორმის დაზუსტება.

"მოქმედი კანონის მიხედვით, შეზღუდულია შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარება ადმინისტრაციული შენობებიდან 20 მეტრის რადიუსში. ჩვენ ამ ნორმას ვაკონკრეტებთ და ვამბობთ, რომ ადმინისტრაციული შენობების შესასვლელის რადიუსი 20 მეტრის რადიუსში არ შეიძლება აქციების მოწყობა,

ზოგადად შენობის პერიმეტრზე კი პრობლემა არ არის. ასევე ზუსტდება გზის გადაკვეთასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, მიგვაჩნია, რომ ტრანსპორტის ან ფეხით მოსიარულეთა სავალი ნაწილის გადაკვეთა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება სხვაგვარად ვერ ხერხდება. ერთი სიტყვით, გზის გადაკვეთა თვითმზანი არ უნდა იყოს. ასევე ვაზუსტებთ, რომ გზის გადასაყვად არ შეიძლება სპეციალური კონსტრუქციების გამოყენება," - კანონში შესატანი ცვლილებების არსს "24 საათთან" საუბარში განმარტავს პავლე კულბაშვილი.

პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ასევე დაზუსტდა იმ კანონპროექტების ნუსხა, რომლებსაც დეპუტატები მიმდინარე კვირაში დაგეგმილ საკომიტეტო მოსმენების დროს განიხილავენ.

# "დაფინანსება შეზღუდულია, თვალთვალ ბრძოლა"

ოპოზიციის რეაგირებისთვის საერთაშორისო საზოგადოებას უხმობს

## პერიკო თევზაძე

ოპოზიციის აცხადებს, რომ ხელისუფლებამ მის წინააღმდეგ მასობრივი რეპრესიები დაიწყო. როგორც "24 საათს"

"მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ განუცხადა, ისინი უახლოეს პერიოდში რეაგირებისთვის საერთაშორისო საზოგადოებას მიმართავენ. ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენის თბილისში ვიზიტისას ოპოზიციის სპეციალური აქციის მოწყობას აპირებს. აქციის მიზანი თეთრი სახლის წარმომადგენლის ყურადღების მიქცევა და მისი ინფორმირება იქნება.

მანამდე "მემარჯვენეები" შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის გადადგომას მოითხოვენ. დავით გამყრელიძის განცხადებით, დაპატიმრების გარდა, ხელისუფლება ოპოზიციის თვალთვალს აგრძელებს. "ზოლო პერიოდის ყველაზე სკანდალური მოვლენა გახლავთ "საქართველოს გზის" ლიდერ სალომე ზურაბიშვილის ოფისში დამონტაჟებული სასმენი აპარატის აღმოჩენა. ამას პრეზიდენტ სააკაშვილის თუ არა, მინიშნულ ვანო მერაბიშვილის გადადგომა უნდა

მოჰყვეს," - აღნიშნა "მემარჯვენეების" ლიდერმა ჩვენთან საუბრისას. გამყრელიძის განმარტებით, პოლიტიკური მოძრაობა "საქართველოს გზის" ოფისში გამართულ გუშინდელ დაზურულ შეხვედრაზე ოპოზიციონერმა ლიდერებმა იმსჯელეს "ტაქტიკაზე, დაჭერებსა და რეპრესიებზე და ამის საპასუხო ქმედებებზე. უფრო კონკრეტულად რას მოვიმოქმედებთ, ეს უახლოეს მოვლელში განვხილავთ," - განაცხადა დავით გამყრელიძემ.

უახლოესი პერიოდის გეგმებზე "24 საათს" "ალიანსი საქართველოსთვის" წარმომადგენელი მანანა ნაჭყებია და "მოდრობა საქართველოსთვის" წევრი ეკა ბესელიაც ესაუბრნენ. მათი ინფორმაციით, 9 ივლისს ოპოზიციის ზუგდიდში გაემგზავრება და საპროტესტო აქციას გამართავს.

"გეგმებზე საუბარი ცოტა გვიჭირს, ვინაიდან იმის გამო, რომ ჩვენს აქტივისტებს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ყოველდღე იჭერენ, ოპოზიციამ შეიძლება ბევრი რამ ვერ განახორციელოს. მაგალითად, სამეგრელოს რეგიონში ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ედიშერ ჯობაჯა "იარაღის უკანონო ტარებისთვის" მაშინ დაინიშნა, როცა ის ყულევის ტერმინალის შენობიდან

გამოდიოდა. ბუნებრივია, შენობაში შესვლისას მან მკაცრი კონტროლი გაიარა. ეს არის კრიმინალი ქართული კრიმინალისტიკის ისტორიაში, თუმცა აღნიშნული ფაქტი ედიშერ ჯობაჯას ოჯახის, ოპოზიციური პარტიების და თუნდაც ქართული დემოკრატიისთვის სავალალოა ასე რომ, შესაძლოა სულ ტყუილად შევადგინოთ გეგმები და ჩვენ, ოპოზიციის ლიდერები, აღმოვჩნდეთ ციხეში," - ამ სიტყვების ავტორი მანანა ნაჭყებია ადასტურებს, რომ ოპოზიციის პერიოდულად გამოცხადებას.

ეკა ბესელიას ინფორმაციით, "ბაიდენის ჩამოსვლის დღეს ოპოზიციის დიდ ღონისძიებას ამზადებს."

"ჩვენ გვსურს ამერიკის ვიცე-პრეზიდენტს გავაგებინოთ, რომ საქართველოში დემოკრატია ძალიან სერიოზული პრობლემები აქვს," - დასძინა ამ თემაზე "24 საათთან" საუბრისას "მემარჯვენე" მანანა ნაჭყებია.

"ეროვნულმა ფორუმმა", რომელიც თავისი ტაქტიკით დანარჩენ ოპოზიციას გამოეყო, გუშინ სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ხელისუფლების მიერ გატარებული რეპრესიების გამო ფორუმი კოლეგებ-

თან აქტიურად ითანამშრომლებს.

ირაკლი მელაშვილმა "24 საათს" გააცნო ოპოზიციისადმი "ფორუმის" შეთავაზება, რითაც ისინი ხელისუფლების რეპრესიებთან დაპირისპირებას აპირებენ. "უნდა შეიქმნას ერთიანი საინფორმაციო ბანკი, სადაც სრულად აღინუსხება უკანონოდ დაპატიმრებული სია. აქვე მითითებული იქნება იმ ადამიანთა გვარ-სახელები, რომლებმაც უკანონო ბრძანებები შესასრულეს. ოპოზიციამ ამ ადამიანთა პლაკატები უნდა დაამზადოს და მათი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით გააკრას. აგრეთვე მოწყობა აქციები მათ სახლებთან. პარალელურად უნდა შეიქმნას ერთიანი იურიდიული ცენტრი," - განაცხადა ირაკლი მელაშვილმა.

სალომე ზურაბიშვილის ოფისში მოსასმენი აპარატის აღმოჩენის გამო შემოთვალა საპარლამენტო ოპოზიციამაც გამოთქვა. მათ გამოძიების ჩატარება მოითხოვეს. თავად არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლთა განცხადებით, აპარატი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ არის დამონტაჟებული. "დაფინანსება შეგვიწყვიტეს, თვალთვალ გრძელდება," - აცხადებს "საქართველოს გზის" ლიდერი სალომე ზურაბიშვილი.

# დისკუსია მოსწავლეთა უფლებებისთვის

## დათო ბაიშორია

"თავისუფლების ინსტიტუტის" ორგანიზებით გუშინ გამართულ საჯარო ლექციას, თბილისის სხვადასხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებთან ერთად, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტიც ესწრებოდა. "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელმა თეა თუთბერიძემ ახალგაზრდებს გააცნო საქართველოს კანონმდებლობაში და საერთაშორისო კონვენციებში აღნიშნული ბავშვთა უფლებები და თავისუფლებები. გარდა

ამისა, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ავსტრიის ბიბლიოთეკაში" შეკრებილებს აჩვენეს ტელეკომპანია "იმედის" საინფორმაციო გამოცემა "ქრონიკაში" 4 ივნისს გასული სიუჟეტი, სადაც საუბარი იყო იმის შესახებ, რომ ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსის საჯარო სკოლის მოსწავლეებს ლია კვარაცხელიასა და ბელა შანავას, დანარჩენი მოსწავლეებისგან განსხვავებული მუსიკალური გემოვნების გამო, სკოლაში სიარული აუკრძალეს. "ავსტრიის ბიბლიოთეკაში" შეკრებილი ახალგაზრდები ამ ორ მოსწავლესაც შეხვდნენ და მოსწავლეთა უფლებების დარღვევის საკითხებზე იმსჯელეს. თეა თუთბერიძემ მიიჩნევს, რომ "ეს ერთ-

დერთი შემთხვევა არ არის, როცა ბავშვებს ეკრძალებათ ზოგადი განათლების მიღება."

მისი თქმით, ცალკე თემა, თუ რამდენად აკმაყოფილებს ესა თუ ის სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმით დაწესებულ სტანდარტებს, რათა ეროვნულ გამოცდებზე გასასვლელად მოსწავლეს დამატებით მომზადება აღარ დასჭირდეს და მხოლოდ სკოლაში მიღებული განათლებით შეძლოს გამოცდების ჩაბარება. მიუხედავად ამისა, გუშინდელ საჯარო ლექციაზე - "მოსწავლეთა უფლებები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში" - ძირითადი განსახილველი საკითხი იყო ამა თუ იმ (რელიგიური რწმენის, ეთნიკური უთვისების, სექსუალური ორიენტა-

ციის გამო) მოტივით მოსწავლეებისთვის სწავლის აკრძალვა. "ამ პრობლემის დასაძლევად მნიშვნელოვანია საზოგადოების მეტი აქტიურობა, სხვადასხვა სკოლებში ასეთი ტიპის განხილვების მოწყობა, რათა პედაგოგებისა და ლექტორების ნაწილმა დაინახოს, რომ საზოგადოება არ შეეგუება ასეთი მიზეზის გამო მოსწავლეთა სკოლაში არდაშვებას," - განაცხადა თეა თუთბერიძემ.

სიუჟეტის ჩვენების შემდეგ გამართულ დისკუსიაზე თუთბერიძემ ახალგაზრდებს განუმარტა, რომ მოსწავლის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია და არ შეიძლება, რომ მას თავისი პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება მოეთხოვოს.

**გაზეთი "24 საათის" გამოცემა ივს "მშპ". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარქაშვილი, პაატა მუხამიძე.**  
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: შაია ჭალაგანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალავეცი (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილაშინია (რეჟისი), კახა ფარქაშვილი (სპორტი). **რედაქცია და მარკეტინგის მენეჯერი:** ირაკლი ლევაკო ტელ: 899 22 09 49. **მომხმობარეული (მენეჯერი):** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალვაშვილი, თენგიზ ქორია, ნინო ყავლაშვილი  
**რედაქციის მისამართი:** თბილისი, 01-86. **ირაკლი გამრეკლის ქ.51. ტელ:** 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). **ფაქსი:** 31-93-86. **ელ-ფოსტა:** public@24hours.ge

# დავა უსაფრთხოების გარეშე

პირველი გვერდიდან

ნალბანდოვის ინფორმაციით, კუნძულ კორფუზე ეუთო-ს არაოფიციალურ მინისტერიალზე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რუსეთს მოუწოდა, "თუნდაც ერთი, მილიმეტრიანი ნაბიჯი გადადგას წინ" და ევროკავშირის დამკვირვებლებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მონიტორინგის განხორციელების საშუალება მისცეს. ნალბანდოვის თქმით, რუსულმა მხარემ კუნძურის წინადადებას უარით უპასუხა.

მინისტრის მოადგილემ ნატო-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის აღდგენის შესახებაც ისაუბრა და განაცხადა, რომ ამ პროცესისას რუსეთს მუდმივად შეახსენებენ საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობას. ნალბანდოვის თქმით, საქართველო არ ფიქრობს, რომ ოფიციალურმა თბილისმა რუსეთზე ზემოქმედების ბერკეტი დაკარგა. მან გაიხსენა ნატო-ს გენერალური მდივნის სიტყვები, რომლის მიხედვითაც ნატო-სთვის საქართველოს საკითხი იყო, არის და მომავალშიც აქტუალური იქნება.

ევროპის ხედვა, როგორც მშვიდობასა და თანხმობაში მცხოვრები განუყოფელი სივრცისა, დღემდე არარეალიზებული რჩება, - აღნიშნავს ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე, საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დორა ბაკოიანისი რუსულ გაზეთ "კომერსანტიში" გამოქვეყნებულ სტატიამ, რომელიც კორფუზე გამართული სამიტის შედეგებს მიეძღვნა.

"ეს მთელი სიმწვავით გვიჩვენა საქართველოში მომხდარმა ომმა. დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპები ჯერ კიდევ ბოლომდე არ დამკვიდრებულა ან არცთუ საუკეთესოდ არის გამოყენებული", - აღნიშნავს ბაკოიანისი.

ეუთო-ს თავმჯდომარე ორგანიზაციის წევრებს მოუწოდებს "ბოლო მოვულოთ დახრილ სიბრტყეზე მოძრაობას და თანამშრომლობის ახალი, პოზიტიური დინამიკა შევქმნათ."

ბაკოიანისის აზრით, კორფუზე გამართული შეხვედრები ამის შანსს იძლევა, თუმცა ეს ხანგრძლივი და რთული პროცესი უნდა გახდეს. ეუთო-ს თავმჯდომარე აცხადებს, რომ უსაფრთხოების ახალ სისტემაზე მსჯელობის მიზნით კუნძულ კორფუზე შეხვედრები კიდევ გაგრძელდება.

ფორუმზე რუსულმა მხარემ "ევროპის უსაფრთხოების ახალ არქიტექტურაზე" საკუთარი წინადადებები წარმოადგინა. ასეთი ინიციატივით კრემლი საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შემდეგ გამოვიდა.

"დასავლეთი სკეპტიკურად უყურებს რუსულ წინადადებებს უსაფრთხოების სფეროში", - სტატია ასეთი სათაურით სააგენტო "როიტერმა" გამოაქვეყნა.

სააგენტო აღნიშნავს, რომ მედვედევის მიერ შემოთავაზებული ევროპული უსაფრთხოების ხელშეკრულება ითვალისწინებს ყველა მონაწილე ქვეყნის თანაბარ სტატუსს, სამხედრო აღიანზისების მიერ სხვა ქვეყნების უსაფრთხოების საზიანო პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმას და მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებაში ცალკეული ქვეყნების მიერ განსაკუთრებული როლის შესრულების აკრძალვას.

"დასავლეთის ოფიციალური წრეების აზრით, რუსეთმა უარი უნდა თქვას უსაფრთხოებისადმი ძველ, კონფორტაციულ მიდგომაზე, რომელიც "გავლენის სფერების" შექმნას ითვალისწინებს. გარდა ამისა, დასავლეთი რუსეთს აკრიტიკებს ავტორიტარიზმის შემოღებულ რუნებისთვის და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, მაგალითად, საქართველოში, კუნძულის თამაშისთვის," - აღნიშნავს "რო-

იტერი".

სააგენტოს მოჰყავს კორფუს შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილის განცხადება იმის შესახებ, რომ რუსეთს და დასავლეთის ქვეყნებს სამიტზე ძველი პოზიციები არ დაუთმიათ, თუმცა არსებობს იმედი, რომ შეხვედრის წერტილები მოიძებნება. "ჩვენ მოვიხმინეთ რუსეთის ვრცელი საზიარო, რომელიც მოითხოვდა, სასწრაფოდ განხილულიყო ევროპაში უსაფრთხოების სისტემის სრულყოფის საკითხი, რადგან არსებული სისტემა, მათი აზრით, დარღვეულია, - განაცხადა ინკოგნიტო ევროპელმა დიპლომატმა, - თუმცა, ევროპელები ვერ ხედავენ სტრუქტურული ცვლილებების აუცილებლობას, მაგრამ ამ საკითხების განსახილველად მზად არიან."

შეხვედრის სხვა მონაწილემ, თავის მხრივ, სააგენტოს განუცხადა, რომ "უთანხმოებები ძალაში რჩება, თუმცა არის შეგრძნება, რომ რაღაც ახალი დაიწყება."

სკეპტიკური დამოკიდებულება რუსეთის წინადადებების მიმართ ევროპის ცალკეულმა სახელმწიფოებმაც დააფიქსირეს. ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ურმას პაეტის აზრით, კონფლიქტების დარეგულირებისთვის ევროპული უსაფრთხოების ახალი სტრუქტურებისა და ინსტრუმენტების შექმნა არ არის აუცილებელი.

"ახალი საშუალებები ან ორგანიზაციები ქვეყნებს შორის ნდობის გაძლიერების სასწაულმოქმედი საშუალება ვერ გახდება. ევროატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოება, პირველ რიგში, ქვეყნების პოლიტიკურ ნებაზე დამოკიდებულია," - განაცხადა პაეტმა.

თავის მხრივ, ლიტვის პრემიერ-მინისტრმა ანდრეუს კუბილიუსმა აღნიშნა, რომ "მთავარი პრობლემები არა ევროპის უსაფრთხოების ინსტიტუტების მიზეზით, არამედ რუსეთის მიერ თავისი ვალდებულებების

შეუსრულებლობის გამო იქმნება."

რუსეთი-ნატო-ს საბჭოს სხდომაზე, რომელიც კუნძულ კორფუზე ეუთო-ს მინისტერიალის პარალელურად გაიმართა, მხარეებმა ოფიციალურად განაცხადეს უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობა, რაც რუსეთსა და ალიანსს შორის აგვისტოს ომის შემდეგ შეწყდა. რუსულ გაზეთ "კომერსანტის" ცნობით, ამ შეხვედრის შედეგი გახდა რუსეთის გავლით ავღანეთში ნატო-ს სამხედრო ტვირთების ტრანზიტის შესახებ შეთანხმების მომზადება. მისი ხელმოწერა შესაძლოა უკვე ივლისის დასაწყისში, მოსკოვში აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტის დროს მოხდეს.

რუსული წყაროების ცნობით, საუბარია სარკინოგზო გადაზიდვებზე, ასევე საპარო სივრცის გამოყენებაზე. კერძოდ, რუსეთის გავლით ავღანეთში დღე-ღამეში ათამდე სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი გადაფრინდება. რუსეთში მომავალ მოგებასაც ითვლიან - ინკოგნიტო რუსი დიპლომატი აღნიშნავს, რომ ნატო-ს კუთვნილი თითო კონტინერის გადაზიდვა 3 ათას ევრომდე დაჯდება, "ეს კი ძალიან დიდი ფულია."

ამავე დროს, რუსი სამხედრო ექსპერტი პაველ ფელგენგაუერი რუსეთი-ნატო-ს ამ შეთანხმებას "სიმბოლურ ნაბიჯს" უწოდებს. მისი აზრით, ტრანზიტი პაკისტანის გავლით აშშ-სთვის უფრო იაფი იქნება, რუსეთის მიმართულება კი შესაძლოა ალტერნატივად განიხილებას.

"რამე დიდი, სერიოზული დათმობა აქ არ ხდება. შესაძლოა, რუსეთს იმედი აქვს, რომ საპასუხოდ ამერიკელები უფრო გაგებით მოეკიდებიან რუსეთის ზენოლას საქართველოზე. მაგრამ, ამ შეთანხმებიდან ეს უშუალოდ არ გამომდინარეობს. ჯერჯერობით, ეს მხოლოდ სამიტის წინ გაგზავნილი მეგობრული სიგნალია," - აცხადებს ექსპერტი.

## გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლები აფხაზეთს ტოვებენ

გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის სამხედრო დამკვირვებელთა პირველი ჯგუფი სეპარატისტულ აფხაზეთს დღეს, 30 ივნისს დატოვებს. მისიის შტაბ-ბინის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მთლიანობაში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის სამხედრო დამკვირვებლები აფხაზეთის ტერიტორიიდან 15 ივლისისთვის გავლენ.

მათივე ინფორმაციით, აფხაზეთის ტერიტორიაზე კიდევ ორი-სამი თვის განმავლობაში დარჩება გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. გუშინ სოხუმში იმყოფებოდა გაერო-ს გენერალური მდივნის თანაშემწე სამშვიდობო ოპერაციების საკითხებში ედმონდ მულეტი. მან სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლებასთან აფხაზეთიდან გაერო-ს მისიის გაყვანის შესახებ კონსულტაციები გამართა.

მულეტი აფხაზეთში მისიის დახურვისას საერთაშორისო და ადგილობრივი პერსონალის დასახმარებლად ჩავიდა. მისი თქმით, კონფლიქტის ზონაში აგვისტოს 16 წლის განმავლობაში მისიის მანდატის შესრულება რთულ პირობებში უწევდა და ამ დროის მანძილზე 16 თანამშრომელი გაძარცვეს. აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის მანდატი 15 ივნისს ამოწურდა. მანდატის გაგრძელებას გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ვეტო რუსულმა მხარემ დაადა. **საკუთარი ინფორმაცია**

## დღივითი როგოზინი: საქართველოს ნატო-ს წევრობის პერსპექტივა არ გააჩნია

რუსეთის ფედერაციის მუდმივი წარმომადგენელი ნატო-ში დღივითი როგოზინი აცხადებს, რომ საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში განწევრიანების არავითარი პერსპექტივა არ გააჩნია. "ჯერ კიდევ აშშ-ს წინა ადმინისტრაციის დროს რუსეთს და აშშ-ს შორის გაფორმებულ დოკუმენტებში იყო დაფიქსირებული, რომ საქართველოს მხრიდან საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში მისთვის ნატო-ს კარი დაიხურებოდა. სწორედ ამიტომაც აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოსთვის ნატო-ში განწევრიანების პერსპექტივა უსასრულოდ გაიხსნა," - აცხადებს როგოზინი.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუკი მაინც დადგება საქართველოს ნატო-ში განწევრიანების საკითხი, ჩნდება კითხვა - რა საზღვრებში აპირებს საქართველო ნატო-ში შესვლას? "თუკი საქართველოს ნატო-ში წევრობას თეორიულად მაინც წარმოვიდგენთ, იმთავითვე გაჩნდება კითხვა - რა საზღვრებში აპირებს საქართველო ნატო-ში შესვლას? საბჭოური, სტალინური საზღვრებით, აფხაზეთით, სამხრეთ ოსეთით და იქ განთავსებული ჩვენი სამხედრო ბაზებითა და მოსახლეობით, რომლის ხილვა ნატო-ს კუბოში უფრო სურს თუ ახალი საზღვრებით, სადაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან?" - ასეთ კითხვას სვამს როგოზინი და იქვე აცხადებს, რომ მისი აზრით, ამგვარი არჩევანისათვის ნატო ჯერ მზად არ არის.

ნატო-ში რუსეთის წარმომადგენელი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველო "ახლა მაინც დაანებებს თავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართებაში ავანტიურების განხორციელებას." **ჯი-ეიჩ-ენი**

## "საქართველოს გზა" ოფისში მოსასმენი აპარატურის აღმოჩენაზე საუბრობს

თბილისში, ბარნოვის ქუჩა „ 60-ში მდებარე პოლიტიკური მოძრაობა "საქართველოს გზის" ოფისში მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინეს. როგორც პარტიის მდივანმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, მოსასმენი მოწყობილობა ოფისის ორ ოთახშია ნაპოვნი. მისივე თქმით, შესაძლოა, ასეთი აპარატურა სხვა ოფისებშიც იყოს. ზურაბიშვილის განცხადებით, მომხდარის გამო პარტიის წარმომადგენლები საპატრულო პოლიციაში რეკვირდნენ, თუმცა მათ არც ერთი ოპერატორი არ პასუხობდა და საქმის შესასწავლად არავინ მისულა ადგილზე. "მომხდარზე საქმე უნდა აღიძრას, რადგან ეს პოლიტიკური პარტიების რეპრესიის ერთ-ერთი ფორმაა," - აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

არასაპარლამენტო და საპარლამენტო ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა მომხდარის გამო შეშფოთება გამოთქვეს. აღნიშნულ ინციდენტს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ჩიორა თაქთაქიშვილიც გამოეხმაურა. მისი თქმით, ეს ფაქტი ძალიან მძიმეა უწყვეტმა უმოკლეს ვადებში უნდა გამოიძიონ და დასკვნა საზოგადოებას გააცნონ. "პოლიტიკური ორგანიზაციების ნებისმიერი ფორმით ხელის შეშლა და მათი საქმიანობის გარკვეულწილად შეფერხება დაუშვებელია. ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის საქმიანობის ხელშეშელობა საქართველოს კონსტიტუციით არის აკრძალული, - აღნიშნა ჩიორა თაქთაქიშვილმა. დეპუტატი დარწმუნებულია, რომ საგამოძიებო ორგანოები შესაბამის სამუშაოებს ჩაატარებენ და გამოძიების დასრულების შემდეგ ნათელი გახდება, თუ რასთან გვაქვს რეალურად საქმე. **მედიანიუსი**

## დავით ბაქრაძე ავსტრიაში გაემგზავრა

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ვენაში სამედიცინო გამოკვლევების ჩასატარებლად გაფრინდა. როგორც პარლამენტის პრესამსახურში აცხადებენ, პარლამენტის თავმჯდომარის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. იგი ვენაში მხოლოდ გეგმიური გამოკვლევების მიზნით იმყოფება. პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს ჯანმრთელობის პრობლემა მიმდინარე წლის თებერვალში შეექმნა. კერძოდ, ერთ-ერთმა სამედიცინო მანიპულაციამ ალერგიული რეაქცია გამოიწვია, რასაც გულის მდგომარეობის გაართულება მოჰყვა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ფეთქებადსაშიშრო სიტუაციაში

პირველი გვერდიდან

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მოკავშირეების მტკიცე პოზიცია რუსეთს შეაკავებს," - აღნიშნა გაბაშვილმა.

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია "კავკასია 2009"-ის დაწყებას რუსეთის მორიგ პროვოკაციად აფასებს. "ეს წვრთნები პროვოკაციის მიზნით ტარდება და ეს საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა გაიგოს. საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ცნობილი უნდა იყოს ასევე ისიც, რომ წვრთნები დაგეგმილია არა მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზე, არამედ მათ მიერვე ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიაზეც," - აცხადებს დავითაია. ამასთან, საკანონმდებლო ორგანოს ვიცე-სპიკერი მოსკოვის მიერ საქართველოს კონფლიქტში ჩართვის საფრთხეებზეც საუბრობს და აცხადებს, რომ ქართული მხარე არანაირ პროვოკაციას არ უნდა აპყვეს.

სამხედრო სწავლება "კავკასია 2009"-ის დაწყებას "სერიოზულ პროვოკაციად" აფასებს საკანონმდებლო ორგანოს კიდევ ერთი წარმომადგენელი, პარლამენტის ვეროინსტრუქციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი. "ამ სწავლების მიზანი, ერთი მხრივ,

საქართველოში ბანიკური განწყობის შექმნა და ამავდროულად, ქვეყნის სამხედრო პროვოკაციაში ჩართვაა, " - განუცხადა დარჩიაშვილმა ჟურნალისტებს, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, ის დარწმუნებულია, რომ მოსკოვი პროვოკაციებს ღია აგრესიაში ვერ გადაზრდის. "ამის გარანტიორი საერთაშორისო მხარდაჭერა და სხვადასხვა ფორმატებში გამართული შეხვედრებია. საერთაშორისო თანამეგობრობა ამ მოვლენების მიმართ მობოლიზებულია," - აღნიშნა დავით დარჩიაშვილმა.

## უცხოური მედია "კავკასია 2009"-ის შესახებ

"რუსეთის შემამფოთებელი მანევრები საქართველოში" - ამ სათაურით ფრანგული ბეჭდვითი გამომცემლობა "ფიგარო" "კავკასია 2009"-ს ვრცელ სტატიას უძღვნის.

როგორც ჟურნალისტი ფაბრის ნოდე ლანგლუა სტატიაში აღნიშნავს, კუნძულ კორფუზე შერიგება ხდება, საქართველოში კი ჯარისკაცების ჩქეშის ხმა ისმის. ბარაკ ობამას მოსკოვში პირველ ვიზიტამდე ერთი კვირით ადრე რუსეთი "ორ ფრონტზე" მუშაობს.

"როდესაც დასავლელი დამკვირვებლები განზე გადგ-

ნენ, მოსკოვმა სამხედრო წვრთნების "კავკასია - 2009"-ის ჩატარება დაგეგმა. ზოგიერთი პესიმისტი საქართველოში და მათ შორის რუსეთის ოპოზიციის წარმომადგენელი ამაში ახალი სამხედრო კონფლიქტის მოახლოებას ხედავს. ამგვარმა მანევრებმა შარშან ზაფხულში რუსეთის არმიას საშუალება მისცა, საკუთარი ქვედანაყოფები მომავალი კონფლიქტის ზონაში განეთავსებინა და სამხრეთ ოსეთში საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილის სამხედრო ოპერაციაზე საპასუხო რეაქციისთვის მზად ყოფილიყო. დღევანდელი რიტორიკა შარშანდღეს შვავს. ამასთანავე, გენერალური შტაბის უფროსმა ნიკოლაი მაკაროვმა, რომელიც სამხედრო წვრთნებს "კავკასია - 2009"-ს უხელმძღვანელებს, ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ საქართველო გადაიარაღების პროცესშია და რევანშისთვის ემზადება. ამ ფართოდ გავრცელებული პროგნოზის პასუხად მოსკოვში მიმუშავე ერთ-ერთი ევროპელი დიპლომატი აცხადებს, რომ მას არ ესმის, რის მიღებას შეძლებს კრემლი ამ ახალი კონფლიქტიდან, თუ გავითვალისწინებთ, რომ მან უკვე მიიღო სამხედრო ბაზები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, მიხილ სააკაშვილმა კი თავისი ამერი-



# საბანკო სექტორში ზარალი იზრდება

## ინფორმაციული

გასულ კვირას თბილისში საკმაოდ მასშტაბური კონფერენცია გაიმართა, რომელსაც ორგანიზებდა საქართველოს ეროვნული ბანკი ითავა. საინტერესო იყო კონფერენციის თემატიკაც "ცენტრალური ბანკების თანამედროვე როლი მცირე ზომის ღია ეკონომიკის ქვეყნებში". ეს თემა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის, რადგან ეროვნული ბანკის ფუნქციები და უფლებები ექსპერტების შეფასებას თუ დავებდნობით, შეიზღუდა. მართალია, ბოლო დროს ეს ტენდენცია შეიცვალა და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სახელმწიფო ფუნქცია დაიბრუნა - ამ ეტაპზე საუბარია სადაზღვევო ბაზრის კონტროლზეც, რომელსაც ვიზას საქართველოს პარლამენტი საავტომატოდ სამშობლო მოსესიამდე მისცემს. კონფერენცია იმითაც იყო მნიშვნე-

ლოვანი, რომ მასში მომანილი-ობდნენ მსოფლიოს 20-ზე მეტი სახელმწიფოს ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი პირები, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების და მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენლები. მათ შორის, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი ნობელის პრემიის ლაურეატი რობერტ მანდელი, რომელიც კონფერენციის მთავარი მომხსენებელი იყო. საბანკო სექტორთან დაკავშირებული მსგავსი რანგის და მასშტაბის კონფერენცია საქართველოში პირველად გაიმართა და მის მნიშვნელობას კიდევ უფრო აძლიერებდა მსოფლიოში არსებული ფინანსურ-ეკონომიკური სიტუაცია, რადგან, უკვე საკმაოდ თვალსაჩინოა მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენა საქართველოს მსგავს მცირე და ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკოლოზ

გილაურმა. საქართველოს ეროვნულ ბანკს კონფერენციაზე ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე წარმოადგენდა. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადებით, "კონფერენციის მიზანია მცირე ზომის ეკონომიკის ქვეყნების მიერ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან გამოსავლის გზების ძიება. დღეს, როცა საქართველოს ეროვნული ბანკი გაძლიერების გზაზეა, განსაკუთრებით აქტუალურია ცენტრალური ბანკების როლის განხილვა მცირე ზომის ეკონომიკის ქვეყნებში. მსოფლიო ფინანსური კრიზისი ჩვენი ქვეყნებზე სხვადასხვაგვარად აისახა და შესაბამისად, ყველა ქვეყანას თავისებური, აქტიური და ინოვაციური საპასუხო რეაქცია ჰქონდა მასზე. ამ კონფერენციის მიზანია ჩვენი გამოცდილების ერთმანეთისთვის გაზიარება და გამოსავლის გზების ერთობლივი ძიება" - აღნიშნა ქადაგიძემ. კონფერენციაზე საქართვე-

ლოს მთავრობამ რჩევები ძირითადად საგადასახადო წესების შემსუბუქების შესახებ მიიღო, რომლის ავტორიც ევროს "შემქმნელი", ნობელის პრემიის ლაურეატი რობერტ მანდელია. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი მანდელი მიიჩნევს, რომ საქართველოში საგადასახადო წესები მაღალია და აუცილებელია მისი შემცირება. "ფიქრობ, მთავრობამ კრიზისის პერიოდში ინდუსტრიისა და მრეწველობის განვითარებაზე უნდა იზრუნოს, სავალუტო პოლიტიკა შეცვალოს და საინვესტიციო კლიმატი გააუმჯობესოს." ამ მოსაზრებას ქართველი ექსპერტებიც ეთანხმებიან. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საგადასახადო კოდექსმა ტრანსფორმაცია მრავალჯერ განიცადა, საგადასახადო წესები კვლავ მძიმეა. ფინანსური კრიზისის და ეკონომიკის რეცესიის პირობებში, ქვეყნის ხელოსუფლებამ მაღალ საგადასახადო განაკვეთებს უნდა გადახედოს.

ქართული ბანკები კვლავ ზარალზე გადიან. ამის მიზეზი პრობლემური სესხების მატებაა. მათი თვეში კომერციული ბანკების ზარალმა 16 მილიონი ლარით მოიმატა. აპრილთან შედარებით ეს მაჩვენებელი გაორმაგდა. იანვრიდან პირველ ივნისამდე კი ბანკებმა მთლიანად 52 მილიონი ლარი იზარალეს, - იწყებდა რადიო "კომერსანტი", შეგახსენებთ, გასულ წელს საქართველოს საბანკო სექტორის ზარალმა 215 მილიონი ლარი შეადგინა. რაც შეეხება პრობლემური სესხების ოდენობას - პირველი ივნისის მდგომარეობით, გადაუდებად ცილებული სესხები 277 მილიონ ლარს აღწევს. ბანკების ნაწილი აღიარებს, რომ უარყოფით ფინანსურ შედეგებს სწორედ გადაუდებად ცილებული სესხები განაპირობებს. ძვირფასი ბანკის გენერალური დირექტორის ნიკოლოზ შურლაიას განცხადებით, "ცუდ ფინანსურ შედეგებს დიდწილად სწორედ ეს სესხები უწყობს ხელს, რადგან მათთვის რეზერვები იქმნება. შესაძლოა, ეს სესხები არ დაიკარგოს, მაგრამ ფინანსურ შედეგებზე მაინც აისახება. ამ მიმართულებით ვმუშაობთ, რათა გადაუდებად ცილებული სესხები ან შევამციროთ ან გადავახდევინოთ" - აღნიშნავს შურლაია. "თბილისი" ბანკის გენერალური დირექტორის ვახტანგ ბუცხრიკიძის თქმით კი მათ, ვისაც ბიზნესსესხები აქვს, შეიძლება გარკვეული ვადავიანობა გაუკეთდეს. "მაგრამ ფინანსური პირების სესხები იმდენად პატივს მოცულობისაა, რომ მათი გადაფარვა ხდება", - დასძინა ძიბისი ბანკის გენერალური დირექტორი ექსპერტებიც პრობლემური სესხების რაოდენობის ზრდას შემოდგომისთვის, კრიზისის ახალი ტალღის პერიოდში კიდევ უფრო ელოდებიან. რადიო "კომერსანტის" ინფორმაციით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რომელიც საქართველოს საბანკო სექტორში მძლავრად არის წარმოდგენილი, ასევე პროგნოზირებს გადაუდებად ცილებული სესხების გამო ბანკების საკრედიტო პორტფელის კიდევ უფრო გაუარესებას. "ამ ეტაპზე გადაუდებად ცილებული სესხები საკრედიტო პორტფელის 10 პროცენტამდეა" - განმარტავენ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი. თუმცა, ბანკში იმასაც აღნიშნავენ, რომ საქართველოს საბანკო სისტემა სტაბილურობას ინარჩუნებს და არც კრიზისის მეორე ტალღის შედეგად არის მნიშვნელოვანი პრობლემები მოსალოდნელი. საბანკო სექტორში გადაუდებად ცილებული სესხების ზრდას ქართველ ექსპერტთა ნაწილიც ვარაუდობს. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ემზარ ჯგერენაია მიიჩნევს, რომ უახლოეს ხანებში საქართველოს კიდევ უფრო მეტი მოქალაქე გახდება გადახდებულუნი.

**"სქური" ექსპორტზე დსთ-სა და ევროპაში გავა**

მინერალური წყლების ბაზარზე ახლი კომპანია "ქართული ბრენდი" გამოჩნდა და მომხმარებელს ახალი მინერალური წყალი "სქური" შესთავაზა. როგორც რადიო "კომერსანტს" კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი მოლაშხიამ განუცხადა, "სქური" ბაზარზე სამი კვირაა გამოჩნდა და დაინტერესება საკმაოდ მაღალია. კომპანია წყალს კურორტ "სქურში" საკუთარ ქარხანაში ახსამს, რომლის უახლესი დანადგარებით დაკომპლექტება ნახევარი მილიონი ლარი დაუჯდა. მოლაშხიას თქმით, დღეისთვის "სქური" დედაქალაქსა და ზოგიერთ რეგიონში იყიდება, წლის ბოლომდე კი მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიყიდება. გარდა ამისა, კომპანია პროდუქციის გატანას ექსპორტზე უკრავს, ყაზახეთში, იტალიასა და თურქეთში გეგმავს. ადგილობრივ ბაზარზე "სქური" 80-დან 90 თეთრამდე ღირს.


# თბილისში სახელმწიფო ძველი უბნების რეაბილიტაციის ახალი გეგმის განხორციელებას იწყებს

თბილისის მერმა გიგი უგულავამ თბილისის ძველი უბნების რეაბილიტაციის ახალი გეგმა წარმოადგინა. დედაქალაქის მერიის მიერ მომზადებული პროექტი სამი კომპონენტისგან შედგება. პირველი, ეს არის თბილისში არსებული ავარიული სახლების პრობლემის მოგვარება. მეორე - დაწყებული მშენებლობების დასრულება და მესამე, სახელმწიფო გახდეს სამშენებლო კომპანიების გარანტი, რათა ბანკებისგან კრედიტი მიიღონ და დაწყებული მშენებლობების დასრულება შეძლონ.

გეგმა, გადაჭრილი იქნება იმ ადამიანების პრობლემებიც, რომლებიც ავარიულ სახლებში ცხოვრობენ. ამასთან ერთად, თბილისის ძველი უბნების სრული რეაბილიტაციაც მოხდება. "თბილისში და განსაკუთრებით ძველ უბნებში ჩვენ გვაქვს მწვავე ავარიული სახიანო ფონდი. ავარიულობის გამო ხშირ შემთხვევაში არ მუშაობს კომუნიკაციები. ავარიული შენობების დიდი ნაწილი საცხოვრებლად უფარგის, ან სახიფათოა. რაც დრო გადის, სულ უფრო რთულია ბანკებიდან სესხის აღება. იმისათვის, რომ არსებული მშენებლობები დავასრულოთ და ახალი დავიწყეთ, ბანკებიდან კრედიტების მისაღებად, სამშენებლო კომპანიებს გარანტიად სახელმწიფო დაუდგება. ჩვენ მიგვაჩ-

ნია, რომ შესაძლებელია არსებული ყინულის გაღობა და ამ პროცესის დაწყება", - განაცხადა პროექტის პრეზენტაციაზე თბილისი მერმა. უგულავას განმარტებით, ძველი უბნების რეაბილიტაცია მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის ნება-სურვილის საფუძველზე მოხდება. ძველი საცხოვრებელი ფართები მანამ დარჩება მათ საკუთრებაში, სანამ ახალი ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი არ გადაეცემათ. "მოლაპარაკება მდგომარეობს იმაში, რომ სამშენებლო კომპანია მოსახლეობას სთავაზობს ალტერნატიულ საცხოვრებელ ფართს, რომელიც მის საკუთრებაში არსებობს. პროექტი, შესაბამისი შესწავლის შემდეგ, ბანკისგან ფინანსდება. ამ შემთხვევაში გარანტორი

არის სახელმწიფო. სანამ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის მშენებლობა მიმდინარეობს, მანამდე მოსახლე საკუთარ სახლში ცხოვრობს, როცა მშენებლობა დასრულდება, მოსახლეები უკვე ახალ საცხოვრებელ სახლში გადადიან. ამის შემდგომ კი ძველი უბნების რეაბილიტაცია დაიწყება", - განმარტავს გიგი უგულავა დედაქალაქის რეაბილიტაციის ახალი პროექტის პრეზენტაციას, მერიის თანამშრომლების გარდა დეპუტატები, სამშენებლო კომპანიებისა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, სახელმწიფო მზადაა ამ პროექტის დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან რამდენიმე ათეული მილიონი ლარი გამოყოს.



## თიბისი ბანკის ახალი "ბონუს ანაბარი" დაბრუნების საუკეთესო ფორმულა: 12 = 13

**რა არის ბონუს ანაბარი?**  
ეს არის ძალიან მარტივი და მოქნილი ანაბარი, რომელიც დაგეგმვით, 1 წლის განმავლობაში დაგროვილ თანხაზე ბანკისგან საჩუქრად მიიღობთ დამატებით ბონუსს. კერძოდ, ანაბრის გასახსნელად უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი ოთხი სხვადასხვა ნომინალის ეკვივალენტი: 20, 30, 50 ან 100 ლარი/დოლარი/ევრო - იმის მიხედვით, თუ რა თანხის დაგროვებას გეგმავთ ყოველთვიურად. თქვენ 12 თვის მანძილზე ყოველთვიურად შენატანებთ მეშვიშობის აგროვებით თანხას, ბანკი კი დამატებით საჩუქრად გაძლევთ ეკვივალენტს მითითებულ თანხას.

ტრადიციულად ადამიანები თანხის დაგროვების რამდენიმე მეთოდს იყენებენ: ზოგი ფულს ყულაბაში ინახავს, ზოგი ამჯობინებს დანაზოგი სანდო ადამიანს მიახაროს, უმეტესობას დაგროვების საუკეთესო საშუალებად, ვერცხლად წოდებული "ლატარია" მიაჩნია. ყველა ამ მეთოდში უნდა იქნებოდა ერთი: თუ გაგიმართლათ და თქვენი ყულაბა არავინ გატეხს, სანდო მეგობარი ნამდვილად აღმოჩნდა "სანდო" და არც ლატარიის მონაწილეებმა გამტყუნეს, თქვენ მიერ დაგროვილი თანხა ზუსტად იმდენი აღმოჩნდება, რამდენის გადადებასაც მოახერხებთ და, მიუხედავად იმისა, რომ ერთი თეთრიც არ დაემატება, მანაც ემაყოფილი იქნებით...

იმისათვის, რომ არ დაგვიწყნდეთ ყოველთვიურად ანგარიშზე თანხის დამატება, ყოველი თვის 25 რიცხვში ბანკიდან სმს შეტყობინებას მიიღებთ. შენატანების გაკეთება შესაძლებელია, როგორც ბანკის ფილიალებში, ასევე დისტანციურ სერვისების გამოყენებით (ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი, ავტომატური გადარიცხვების სერვისი, ტელეფონ ბანკი) და, აგრეთვე, თბილისი ფეისბუქის სწრაფი გადახდის ტერმინალებით.

**რატომ უნდა აირჩიოთ ბონუს ანაბარი?**

- ბონუს ანაბარზე დარიცხული ბონუსის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ დროს!
- ეს არის თანხის დაგროვების ყველაზე მარტივი, ხელმისაწვდომი და რაც მთავარია, სახალისო საშუალება!
- რაც უფრო მაღალი ნომინალი არის თქვენ მიერ არჩეული ეკვივონი, მით უფრო მეტია თანხის დაგროვების სტიმული!
- თვის განმავლობაში მინიმალური შენატანის შენატანება შესაძლებელია შეუზღუდავი რაოდენობის მცირე თანხებით, იმის მიხედვით, თუ რა ოდენობაა თქვენთვის მოსახერხებელი!
- თუ გსურთ დაზოგოთ იმაზე მეტი, ვიდრე ვარაუდობდით, შეგიძლიათ ანაბარზე დაამატოთ ნებისმიერი თანხა და ამისთვის დამატებითი 10%-იანი წლიური სარგებელი დაგერიცხებათ!

**და ბოლოს:**  
აგროვებთ 12 ერთეულს და იღებთ 13-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენ უკვე შეგიძლიათ ამოხსნათ დაგროვების ახალი ფორმულა: 12 = 13 და დარწმუნდეთ, რომ ეს ძალიან ადვილია:

დაგროვებთ:	12
ბონუსი შენატანზე:	100
ბონუსი შენატანზე:	100
სულ მიიღებთ:	1300

### მონევა პროვულ საკონსურსო ვაჭრობაზე

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი  
სესხი: მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი  
კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება: P41198-NCB-1-38  
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ჭაბურღილების მონევის და ქ.ლაგო-  
დეხში წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია

საკონსურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2009 წლის 30 ივლისი

საქართველოს მთავრობამ მიიღო აზიის განვითარების ბანკის (აგბ) სესხი მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტის დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთ ხსენებული პროექტის დასაფინანსებლად. კონსურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს აგბ-ის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ("დამკვეთი") იწვევს საკონსურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონსურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ჭაბურღილების მონევისა და ქ. ლაგოდეხში წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელის **სარეაბილიტაციო სამუშაოების** განსახორციელებლად ("სამუშაოები").

სამუშაოები მოიცავს:

- ქ. ლაგოდეხის კანალიზაციისა და წყალსადენის ქსელების რეაბილიტაციას, კერძოდ წყალსადენის ქსელში ფოლადის მილსადენების (d=60-108 მმ) მონეობა - 3,22 კმ, პოლიეთილენის მილები (d=20 მმ) - 1,4 კმ; ასანყოფი რკ/ბ საკვანძო და დამცლელი ჭები (d=1 მ) - 22 ცალი; საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციას PVC მლევითი (d=200-315 მმ) - 2.0 კმ, ა/ც მილების გარეცხვას - 1.6 კმ; 73 ცალი სათვალთვალ რკ/ბ ჭის (d=1 მ) მონეობას;

- კოოპერირებული წყალსადენის სათავე ნაგებობის კვანძში არსებული N6, N12 და N13 ჭაბურღილების მოედნებზე მცირე მოცულობის სარემონტო სამუშაოებს, აგრეთვე გაუქმებული სატუმბო სადგურის მიმდებარე უბანზე სარეგულაციო ჭის მონეობას;

- სოფლების ცოდნისკარისა და ნინიგორის წყალსადენის სათავე ნაგებობების რეაბილიტაციას, რაც მოიცავს საერთო ჯამში 135 მ d=200 მმ დრენების მონეობას სათვალთვალ და შემკრები რკ/ბ ჭებით და 325 მ სიგრძის DN160 პოლიეთილენის წყალგამყვანი მილის მონტაჟს

- სოფლებში ვარდისუბანში, კართუბანში, გიორგეთში, აფენში, არეშფერანში, გუჯარეთსა და გიორგეთში თითო სადაზვერვო-საექსპლუატაციო ჭაბურღილების მონეობას; სულ 5 ცალი 150 მ სიღრმის და 2 ცალი 200 მ სიღრმის ჭაბურღილის მონეობას საექსპლუატაციო კოლონის დიამეტრით 168 მმ, ელექტრო და მექანიკური მონეობილობების ჩათვლით;

- სოფელ ჭიაურში არსებული წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციას, კერძოდ 2 არსებული ჭის რეაბილიტაციას, 3 ახალი საკვანძო ჭის (d=1.5 მ) და 10 (d=1 მ) დამცლელი ჭის მონეობას, ურდულების და ფიტინგების დაყენების ჩათვლით.

კონტრაქტის განხორციელების პერიოდი შეადგენს 8 თვეს.

აღნიშნულ კონსურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შემდეგი კვალიფიკაციების მქონე უფლებამოსილ კონსურსის მონაწილეებს:

- კონსურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი მსგავსი ტიპის სამუშაო, თითოეული არანაკლებ 1,0 მილიონი ლარის ღირებულებით. სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება საკონსურსო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;

- საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ 3,0 მილიონი ლარი;

ლიონი ლარი;

- ლიკვიდური აქტივების და/ან კრედიტის მოზიდვის საშუალებების მოცულობა, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებებით განსაზღვრული საკრედიტო საშუალებების გარდა, უნდა შეადგენდეს 1,3 მილიონი ლარის ექვივალენტს. კონსურსის მონაწილემ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი ფინანსური მდგარობა არ არის შემოთავაზებული საკონსურსო წინადადების ფასზე ნაკლები;

- კონსურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას: მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;

- კონსურსის მონაწილემ უნდა ფლობდეს საკონსურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში და უნდა შეძლოს აღნიშნულის დემონსტრირება.

ეროვნული საკონსურსო ვაჭრობა ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთგვარაღმადგენლობის პროცედურის შესაბამისად: შერჩევა ერთი კონვერტის სატენდერო პროცედურების მიხედვით.

დაინტერესებულ კონსურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონსურსო დოკუმენტაციის ნახვა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00-დან 17:00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა):

უფლებამოსილი პირი: ბ-ნი ლაშა გოცირიძე, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი  
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი 0112, საქართველო  
IV სართული, ოთახი 405

ტელ: (+995-32) 48-45-09/10/11/15

ფაქსი: (+995-32) 48-45-55

ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონსურსის მონაწილეებს საკონსურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტების შექმნა შეუძლიათ ზემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და არანაზღაურებადი 200 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდის მეთოდს წარმოადგენს პირდაპირი დეპოზიტის ან ტრანსფერის განხორციელება შემდეგ ანგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**  
**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**

**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**

**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**

**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**

**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

ყველა საკონსურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს გარანტია 26,000 ლარის ან აღნიშნულის ექვივალენტის ოდენობით თავისუფლად კონვერტირებად ვალუტში და წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოთ მოცემულ მისამართზე არა უგვიანეს 2009 წლის 30 ივლისის 11:00 საათისა.

საკონსურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 30 ივლისის 12:00 საათზე იმ კონსურსის მონაწილეთა თანდასწრებით, რომელნიც მოისურვებენ აღნიშნულ პროცედურაზე დასწრებას.

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

კომპანია აზერინშაატსერვის -ს დაგეგმილი აქვს ასფალტის მოდულის ტიპის ასფალტის ქარხნის მშენებლობა, რომელიც განთავსდება ნინოწმინდის რაიონის სოფ. ლულალისის მიმდებარედ.

2009 წლის 14 აგვისტოს, 13 საათზე ნინოწმინდის რაიონში, აზერინშაატსერვისის კემპის ტერიტორიაზე (ნინოწმინდა-ახალქალაქის გზის ლულალისის გადასახვევის მიმდებარედ) ჩატარდება აღნიშნული ქარხნის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვა.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გაცნობა შესაძლებელია:

- აზერინშაატსერვისის -ის კემპში - ნინოწმინდის რაიონის სოფ. ლულალისის მიმდებარედ.
- აზერინშაატსერვისის -ს თბილისის ოფისში - მის: ქ. თბილისი, ფალიაშვილის 33ა.

საზოგადოების წარმომადგენლებისაგან მოსაზრებების მიღება ინარმოებს აღნიშნულ მისამართებზე 2009 წლის 10 აგვისტომდე. საკონტაქტო ტელეფონი: 822 252139; ელფოსტა: t.pruidze@azerinsaat.com.

აზერინშაატსერვისის -ის ადმინისტრაცია

2009 წლის 21 აგვისტოს, 13 საათზე ქ. რუსთაველაში, გამარჯვების გზატკეცილ №4-ში გაიმართება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების (სეგრეგაცია, მასერაცია, კომპოსტირება, ბრიკეტირება) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავება.

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიები-

სა და ნებართვების სამსახური, თბილისი, გოთუას ქ. №6;

გამარჯვების გზატკეცილი №4, შპს სანიტარი .

საზოგადოების წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრებების და კომენტარების გამოგზავნა შეუძლიათ მისამართზე:

sanitary@sanitary.ge

საკონტაქტო ინფორმაცია: 899 58 31 30 sanitary@sanitary.ge

საკონტაქტო პირი: მიხეილ კვარაცხელია

საკუთარი მოსაზრებების წარდგენის ვადა: 2009 წლის 15 აგვისტო.

### პაციენტების საყურადღებოდ !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი გთავაზობთ ულტრასონოგრაფიის (ექოსკოპიის) მიმართულებით ბოლო თაობის, 2008 წლის აპარატურას და უახლეს ექოსკოპიურ ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებით ტარდება ექოსკოპიური გამოკვლევები კლინიკური მედიცინის ყველა მიმართულებით.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩანერით.

მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის

სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20, (ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42;

### 2000 წელში ბინის გაცვ-

ლის აქტთან დაკავშირებით

ვეძებ მოქ. ნიკოლოზ ბურ-

ჭულაძეს. გთხოვთ გამო-

მეხმაროთ შემდეგ ტელე-

ფონებზე:

315429, 898730001.

გოჩა პატარიძე.

# საკანონმდებლო ინიციატივა პატიმრების პრობლემასთან დაკავშირებით

“პატიმრებს მიეცემა არა მარტო სწავლისა და მუშაობის შესაძლებლობა, არამედ შეძლებენ, საკუთარი შრომით მიღებული ანაზღაურებით ოჯახებს დაეხმარონ ან დანაზოგი შექმნან,“ - აცხადებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა მინისტრი დიმიტრი შაშკინი.



ბრიფინგი საკანონმდებლო ინიციატივაზე.

გუშინ მინისტრმა პატიმრების პრობლემასთან დაკავშირებით, ახალი საკანონმდებლო ინიციატივა წარმოადგინა, რომლის თანახმადაც, პატიმრების შრომითი ანაზღაურების თანხა მხოლოდ სამემოსავლო გადასახადით დაიბეგრება. დიმიტრი შაშკინის თქმით, პატიმრებს სხვა გადასახადები მოეხსნებათ, რომლებსაც აქამდე იხდიდნენ.

“სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების-

ვის შრომის პირობების შექმნა, რათა პატიმრების შრომის შედეგად განხორციელდეს მათი რესოციალიზაცია და რეინტეგრაცია,” - განაცხადა დიმიტრი შაშკინმა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილთან ერთად ჩატარებულ ბრიფინგზე.

იურიდიულ კომიტეტთან ერთად, სასჯელაღსრულების,

პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა მინისტრი პარლამენტში ინიციატივით შედის, კანონში ცვლილება განხორციელდეს. თუკი აქამდე სასჯელაღსრულების დეპარტამენტი პატიმრებს ანაზღაურებიდან სამემოსავლოს უხსნიდა, დაახლოებით 30 პროცენტის ოდენობით, საკანონმდებლო ცვლილებით, ეს ნორმა კანონიდან ამოვარდება.

“შესაბამისად, პატიმრები თავისი ხელფასის 78 პროცენტს მიიღებენ, საიდანაც მხოლოდ მათი სამემოსავლო გადასახადი იქნება დაკავებული,” - განმარტავს დიმიტრი შაშკინი. მისივე თქმით, ამით მოხდება პატიმრების შრომის ნახალისება და მათ შესაძლებლობა ექნებათ, საკუთარ ოჯახებსაც დაეხმარონ.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პავლე კუბლაშვილის განცხადებით, ახალ საკანონმდებლო ინიციატივას პარლამენტი ივლისში განიხილავს და დაამტკიცებს. რის შემდეგაც, პატიმრები შრომით ანაზღაურებას უკვე ახალი პირობების გათვალისწინებით მიიღებენ.

ერთობლივ ბრიფინგზე, ასევე, ცნობილი გახდა, რომ 1 ივლისს N5 დაწესებულებაში ახალი სამკერვალო სააქმრო გაიხსნება, სადაც, დაახლოებით, 50 პატიმარი დასაქმდება, კიდევ 50 პატიმარს კი საშუალება ექნება, ახალი ხელობა შეისწავლოს.

საკუთარი ინფორმაცია

## ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმის სასამართლო ხელახლა განიხილავს

რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა სასამართლომ პროკურატურის მოთხოვნა დააკმაყოფილა

ნოვია ვაზეტას ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის ბრალდებით გასამართლებული და ნაფიცო მსაჯულების მიერ მსაჯულების მიერ ერთხმად უდანაშაულოდ გამოცხადებული ძმები ჯაბრაილ და იბრაჰიმ მახმუდოვები, სერგეი ხაჯიყურბანოვი და პავლე რიაგუზოვი ამავე მკვლელობის საქმეზე სასამართლოს წინაშე ხელახლა წარსდგებიან. საქმე ისაა, რომ რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა სასამართლომ დააკმაყოფილა გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი და ჟურნალისტის მკვლელობის საქმის ხელახლა განხილვის გადაწყვეტილება მიიღო.



“ჩვენი უდანაშაულობა სასამართლო პროცესზე ისევე დადასტურდება” - აცხადებენ გამართლებულები

რუსეთის გენერალური პროკურატურა, საკასაციო საჩივრით, ნაფიცო მსაჯულების მიერ განსასჯელებისთვის გამოტანილი გამამართლებელი ვერდიქტის გაუქმებას მოითხოვდა. პროკურატურის მტკიცებას, რომ ნაფიცო მსაჯულებმა ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობაში ბრალდებულებს ვერდიქტი შეცდომით გამოუტანეს, უმაღლესი სასამართლო, ფაქტობრივად, დაეთანხმა.

პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს პოზიციით, ნაფიც მსაჯულებზე გავლენა განსასჯელების ადვოკატებმა მოახდინეს და მათ მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის საფუძველი სასამართლო პროცესზე განსასჯელების ინტერესების დამცველების მხრიდან განხორციელებული ემოციური თამაშები გახდა.

განსასჯელების ადვოკატებმა სასამართლო პროცესზე უკანონო მეთოდები გამოიყენეს, რამაც სერიოზული ზეგავლენა იქონია ნაფიც მსაჯულებზე და ვერდიქტის არასწორ ფორმულირებაზე, - აცხადებენ გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები, რასაც უმაღლესი სასამართლო მთლიანად ეთანხმება.

გარდა ამისა, რუსეთის ფედერაციის

რაციის უმაღლესმა სასამართლომ გაიზიარა გენერალური პროკურატურის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ არსებობს დამატებითი მტკიცებულებები და არგუმენტები, რომელთა მიხედვითაც, ძმები ჯაბრაილ და იბრაჰიმ მახმუდოვები, სერგეი ხაჯიყურბანოვი და პავლე რიაგუზოვი ჟურნალისტის მკვლელობაში ნამდვილად მონაწილეობდნენ.

რა დამატებითი მტკიცებულებები გააჩნია ბრალდებამ იმის დასადასტურებლად, რომ გამართლებული განსასჯელები დასასჯელები არიან, უახლოეს პერიოდში, სასამართლო პროცესზე გაიკვლევა. ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმეს ხელმოკრულ ისევ მოსკოვის საოლქო სამხედრო სასამართლო სხვა მოსამართლის თავმჯდომარეობით განიხილავს.

საქმე ისაა, რომ, გარდა განსასჯელების ადვოკატებისა და ნაფიცო მსაჯულებისა, გენერალური პროკურატურას პრეტენზია მკვლელობის საქმის განმხილველ მოსამართლე ევგენი ზუბოვთანაც აქვს.

რაც შეეხება გამართლებულ განსასჯელებს. ისინი, სერგეი ხაჯიყურბანოვის გარდა, რომელიც გათავისუფლებიდან ორი თვის

თავზე გამოძალვის ბრალდებით დააკავეს, ჯერჯერობით თავისუფლები არიან და, როგორც თავად აცხადებენ, დამალვას არ აპირებენ. რა სახის აღმკვეთი ღონისძიება იქნება მათ მიმართ გამოყენებული, ეს მას შემდეგ გადაწყდება, რაც სასამართლო პროცესის თარიღი დაინიშნება.

ჩვენი უდანაშაულობა ამ სასამართლო პროცესზე ისევე დადასტურდება, როგორც ეს ცოტა ხნის წინ მოხდა, - აცხადებენ ნაფიცო მსაჯულების ვერდიქტით გამართლებულები.

სასამართლო პროცესის მსვლელობისას, მოსამართლე ევგენი ზუბოვმა არც ერთხელ არ აღკვეთა განსასჯელების ადვოკატების უკანონო ქმედებები. უფრო მეტიც, მან არანაირი პრინციპულობა არ გამოიჩინა და თავად არაერთხელ დაარღვია კანონი, - ასეთია მოსამართლის მიმართ გამოთქმული პრეტენზია.

ჩვენ ვაღიარებთ, რომ ნაფიცო მსაჯულების ვერდიქტი სამართლიანი იყო, რადგან პროკურატურას განსასჯელების ბრალდებულების დამადასტურებელი უსუსური და არამყარ მტკიცებულებები ჰქონდა. სასამართლომ, რომელმაც ეს საქმე განიხილა, კრახი განიცა-

და. ამ კრახის მიზეზი კი ბრალდების მხარის უსუსურობა გახდა. ჩვენ ვერ მივიღეთ პასუხის კითხვაზე - რა უნდოდათ მკვლელობაში ბრალდებულებს მკვლელობის დღეს ანა პოლიტკოვსკაიას საცხოვრებელ სახლიდან. პროკურატურამ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ვერანაირად ვერ შეძლო. როგორც ადრე, ახლაც დარწმუნებულები ვართ, რომ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმე არ გამოძიებულა. უფრო მეტიც, ეს საქმე არც კი გახსნილა. ჩვენ პრეტენზიები გამოძიებასთან გვაქვს, რომელიც დღემდე მკვლელობის დამკვეთს არ ასახელებს. ერთდერით, რასაც მოვითხოვთ, არის ის, რომ საქმე ნამდვილად გაიხსნას და ნამდვილად გამოიძიოს, დაისჯოს ყველა - მკვლელობის შემკვეთიც და შემსრულებელიც, - ასეთი განცხადება გაავრცელეს გარდაცვლილი ჟურნალისტის ოჯახის წევრებმა უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების საპასუხოდ.

ექსპერტები და იურისტები აცხადებენ, რომ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმის გამოძიება კრახს რომ განიცდიდა, თავიდანვე ცხადი იყო, რადგან ჟურნალისტის მკვლელობის საქმე პოლიტიკას უკავშირდება. ექსპერტების განცხადებითვე, პროცესის დასრულებისთანავე მხარეების მხრიდან ერთმანეთის მიმართ გამოთქმული პრეტენზიები და ბრალდებები, არაპროფესიონალიზმის ნაფიც მსაჯულებზე გადაბრალდება მეტყველებს იმაზე, რუსეთი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისთვის ჯერ კიდევ მზად არ არის. ნოვია ვაზეტას რედაქტორი დიმიტრი მურატოვი უერთდება იმ მოსაზრებას, რომ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობაში ბრალდებულებისთვის გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის მიზეზი სწორედ პროკურატურა იყო, რადგან მან ვერ შეძლო დაერწმუნებინა ნაფიცო მსაჯულები თავის სიმართლეს.

## ცვლილება შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში

პარლამენტში ახალი კანონპროექტი განიხილება, რომლის თანახმადაც, გზების გადასაკეტად სპეციალური კონსტრუქციების გამოყენება იკრძალება. როგორც იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი განმარტავს, ამჟამად მოქმედი კანონით, შეზღუდულია მანიფესტაციის ჩატარება ადმინისტრაციული შენობებიდან 20 მეტრის რადიუსში. ეს ნორმა იცვლება და ზუსტდება, რომ მანიფესტაციისთვის შენობის შესასვლელიდან 20 მეტრი არ შეიძლება იყოს გამოყენებული, ზოგადად პერიმეტრზე კი მანიფესტაციების ჩატარება არ იკრძალება. “კანონში მითითება იყო, რომ არ შეიძლება, განზრახ ხელბოდვას გზების გადაკეტვა. ამასაც ვაზუსტებთ და ვამბობთ, რომ გზის გადაკეტვა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვაგვარად ვერ ტარდება შეკრება და მანიფესტაცია. ანუ გზის გადაკეტვა თვითმზნური არ უნდა იყოს. ასევე ვაზუსტებთ, რომ არ შეიძლება რაიმე სპეციალური კონსტრუქციების გამოყენება გზების გადასაკეტად,” - განმარტავს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე. აღნიშნული ცვლილება შეკრებების და მანიფესტაციების კანონში შედის. პირველი

## ავტოსაგზაო შემთხვევას საპატრულო პოლიციის თანამშრომელი ემსხვერპლა

ავტოსაგზაო შემთხვევას საპატრულო პოლიციის თანამშრომელი ემსხვერპლა. ისანი-სამგორის რაიონის საპატრულო პოლიციის თამთაყვანის ლაშა ავალიანი გამოაქვეყნა. ოფიციალური ინფორმაციით, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელმა ბესო სარჯველაძემ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამო დააკავა. “დაკავებულა 1982 წელს დაბადებული ბესო სარჯველაძე, რომელიც არ დამორჩილა საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მითითებას და საპატრულო პოლიციის მანქანაში ჩაჯდომისას ჩაამსხვრია ავტომანქანის უკანა კარების მინა,” - ნათქვამია შს-ის განცხადებაში. ოპოზიციის აქტივისტი ნინასწარი დაკავების იზოლაციაში იმყოფება. მის მიმართ გამოძიება სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ხულიგნობის მუხლით აღიძრა, რაც თავისუფლების 1-დან 3 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს. ჯი-ეიჩ-ენი

## სამართალდამცველებმა ოპოზიციის აქტივისტი ბესო სარჯველაძე დააკავეს

სამართალდამცველებმა ოპოზიციის აქტივისტი ბესო სარჯველაძე დააკავეს. სარჯველაძის დაკავების შესახებ ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა. ოფიციალური ინფორმაციით, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელმა ბესო სარჯველაძემ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამო დააკავა. “დაკავებულა 1982 წელს დაბადებული ბესო სარჯველაძე, რომელიც არ დამორჩილა საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მითითებას და საპატრულო პოლიციის მანქანაში ჩაჯდომისას ჩაამსხვრია ავტომანქანის უკანა კარების მინა,” - ნათქვამია შს-ის განცხადებაში. ოპოზიციის აქტივისტი ნინასწარი დაკავების იზოლაციაში იმყოფება. მის მიმართ გამოძიება სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ხულიგნობის მუხლით აღიძრა, რაც თავისუფლების 1-დან 3 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს. ჯი-ეიჩ-ენი

## გალის რაიონის სოფლებიდან მომავალი 8 ავტობუსი დააყარა

ზუგდიდის რაიონის სოფელ ზურჩაში გალის რაიონის სოფლებიდან მომავალი 8 ავტობუსი დააყარა. “გალის რაიონიდან დაძრულ 8 ავტობუსს ქართული საგზაოპოლიცო საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებითა ცნობა და აღსრულება საქართველოში” ჩატარდა. როგორც იუსტიციის სამინისტრომ აცხადებენ, საქართველოს დადებული აქვს მრავალმხრივი და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც აწესრიგებენ უცხო სახელმწიფოების მიერ სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ტრენინგის მიზანი აღსრულების ბიუროს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და იმ საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზის გაცნობა იყო, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედონ აღმასრულებლებმა სამოქალაქო სამართლებრივ საქმეებზე აღსრულების წარმოებისას. სემინარში მონაწილეობას მიიღეს აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლებმა და წარმომადგენლებმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლებმა. პირველი

## სემინარი გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის (GTZ) მხარდაჭერით

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებითა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების ფინანსური (GTZ) მხარდაჭერით, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის სასემინარო დარბაზში სემინარი თემაზე “უცხო სახელმწიფოთა მიერ სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებითა ცნობა და აღსრულება საქართველოში” ჩატარდა. როგორც იუსტიციის სამინისტრომ აცხადებენ, საქართველოს დადებული აქვს მრავალმხრივი და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც აწესრიგებენ უცხო სახელმწიფოების მიერ სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ტრენინგის მიზანი აღსრულების ბიუროს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და იმ საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზის გაცნობა იყო, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედონ აღმასრულებლებმა სამოქალაქო სამართლებრივ საქმეებზე აღსრულების წარმოებისას. სემინარში მონაწილეობას მიიღეს აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლებმა და წარმომადგენლებმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლებმა. პირველი

## ადვოკატთა ტესტირება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მალღვი კორპუსის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ადვოკატთა რიგით მემუდრე საკვალიფიკაციო ტესტირება გაიმართა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ გამოკვდა დამოუკიდებლად ჩატარა. ტესტირება - საერთო სამართლის სპეციალიზაციით, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით და სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით გაიმართა. ადვოკატთა ტესტირების გავლის მსურველთა რეგისტრაცია 15 აპრილს დასრულდა, სულ შეტანილია 1075 განაცხადი. სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით - 485 განაცხადი, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით - 340 განაცხადი, საერთო სპეციალიზაციით - 270 განაცხადი. ტესტირების შედეგად, 75 ქულის დაგროვების შემთხვევაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაიცემა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი. ადვოკატთა პირველი ტესტირება 2006 წლის 18-23 მაისს, ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA CEEEL) მხარდაჭერით გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღო 3400 ადვოკატმა. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” და ასოციაციის წესდების საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია 2005 წლის 26 თებერვალს საერთო კრების მიერ, ადვოკატთა ტესტირება ტარდება წელიწადში ორჯერ. ჯი-ეიჩ-ენი

# ჰონდურასის პრეზიდენტი სამხედროებმა დააპატიმრეს

კვირა დღით სამხედროებმა დააპატიმრეს და ქვეყნიდან გააძევეს ჰონდურასის პრეზიდენტი მანუელ სელაია. მათ ალყა შემოარტყეს პრეზიდენტის რეზიდენციას და სელაია საარჩევნო უბნების გახსნამდე სულ რაღაც ერთი საათით ადრე დააპატიმრეს. ჰონდურასში უნდა ჩატარებულიყო რეფერენდუმი ქვეყნის კონსტიტუციის ცვლილების საკითხზე. სელაია ჯერ სამხედრო-საჰაერო ბაზაში მიიყვანეს, ქვეყნის დედაქალაქ ტეკუსიგალპასთან ახლოს, ხოლო შემდეგ კოსტა-რიკაში გადაიყვანეს.

მანუელ სელაია 2006 წლის იანვრიდან არის ქვეყნის პრეზიდენტი (2005 წლის ნოემბერში მან მმართველი ნაციონალური პარტიის წარმომადგენელი დაამარცხა) და ვადა წელს, წლის ბოლოსთვის უმთავრდება. ჰონდურასში კონსტიტუციით პრეზიდენტობა მხოლოდ ერთი ვადით არის დაშვებული. სელაიამ კი მეორე ვადითაც მოინდომა კენჭისყრა და სწორედ ამ საკითხზე ატარებდა რეფერენდუმს. უკვე კოსტა-რიკაში სელაიამ ინტერვიუ მისცა ვენესუელის ტელევიზიას, სადაც განაცხადა, რომ ჯარისკაცებმა ის "პიჟამაში" ჩაცმული გამოიყვანეს პრეზიდენტის სასახლიდან, ფაქტობრივად მოიტაცეს და ამჟამად სან-ხოსეში (კოსტა-რიკის დედაქალაქი) იმყოფება. იგი თავს ჯარისკაცთა ჯგუფის

მიერ ჩამოგდებულად მიიჩნევს. როგორც ირკვევა, პრეზიდენტის რეზიდენციას რამდენიმე ათეულმა ჯარისკაცმა შემოარტყა ალყა, მათ იქ შეკრებილი პრეზიდენტის ზუთასიოდე მხარდამჭერის წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს. ახლა პრეზიდენტის რეზიდენციას 60 პოლიციელი იცავს.

თუმცა სელაიას დამხობის საქმე მთლად ასე მარტივად არ არის. ჰონდურასის უმაღლესმა სასამართლომ განაცხადა, რომ პრეზიდენტი მისი გადაწყვეტილებით გადააყენეს. სასამართლომ უკანონოდ გამოაცხადა ის რეფერენდუმი, რომელიც კვირას უნდა ჩატარებულიყო. ამ რეფერენდუმის წინააღმდეგ გამოდიოდა კონგრესიც და თვით სელაიას პარტიის წევრების მნიშვნელოვანი ნაწილიც. კონგრესმა საკუთარი სპიკერი რობერტო მიჩელეტი პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დანიშნა. ის სელაიას თანაპარტიული, მაგრამ ამავე დროს მისი ოპონენტიცაა. ორივენი "ლიბერალური პარტიის" წარმომადგენლები არიან. მიჩელეტიმ ქვეყანაში ორი ღამით კომენდანტის საათი შემოიღო.

წინა კვირაში, ოთხშაბათს სელაიამ პოსტიდან გადააყენა ჯარების მთავარსარდალი და თავდაცვის მინისტრი, რადგან სამხედროებმა რეფერენდუმის მხარდაჭერა-



მანუელ სელაია უკო ჩავესთან ერთად

ზე უარი უთხრეს.

მანუელ სელაია ქვეყნის ტრადიციული მოკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისგან დისტანცირების პოლიტიკას ატარებდა. იგი პროფესიით მშენებელ-ინჟინერი და ფერმერია. მის მხარდამჭერად ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი მიიჩნევა.

უკვე კვირას კოსტა-რიკაში მიცემულ ინტერვიუში სელაია აცხადებს, რომ ქვეყანაში სიტუაციის შეცვლა

სურდა, რომელიც დღეს მხოლოდ ეკონომიკურად უზრუნველყოფილი ფენის ინტერესებს იცავს, ოპონენტები კი მას ხელისუფლების უზურპაციამ სდებდნენ ბრალს. ესპანურ "პაისში" კვირას გამოქვეყნებულ ინტერვიუში (როგორც ჩანს, ეს ინტერვიუ მან ჯერ კიდევ სამშობლოში მისცა) კი იმასაც აცხადებს, რომ ქვეყანაში მანამდე იყო მომზადებული სახელმწიფო გადატრიალება და მხოლოდ იმიტომ არ განხორციელდა,

რომ მას ამერიკის საელჩომ არ დაუჭირა მხარი.

მსოფლიოს ლიდერებმა დაგმეს მანუელ სელაიას დამხობა. ევროკავშირმა ჰონდურასს "კონსტიტუციურ წესრიგთან სასწრაფოდ დაბრუნებისაკენ" მოუწოდა. ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა მომხდარში "იანკების იმპერიას" დასდო ბრალი, ბოლივიის პრეზიდენტმა ევო მორალესმა კი მომხდარს "დემოკრატიაზე დარტყმა" უწოდა. თავის მხრივ, თეთრმა სახლმა გადაყენებასთან ყოველგვარი კავშირი უარყო, პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ჰონდურასს მოუწოდა - "პატივი სცენ დემოკრატის ნორმებს და კანონს"; სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი მანუელ სელაიას ჰონდურასის ლეგიტიმურ პრეზიდენტად მიიჩნევს; გაეროს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა კი აღნიშნა, რომ სელაია უნდა დაუბრუნდეს საპრეზიდენტო უფლებამოსილების შესრულებას.

პოლიტიკურმა კრიზისმა შვიდმილიონიან ქვეყანაში, რომლის ძირითადი შემოსავალი ბანანის და ყავის ექსპორტია, სპონტანური პროტესტი გამოიწვია. ჰონდურასის არმიამ აქამდე ორჯერ დაამხო არჩეული პრეზიდენტები - 1963 და 1975 წლებში. სამოქალაქო მმართველობას ქვეყანა 1981 წელს დაუბრუნდა.

## წითელი ჭვარი: ღაზას სექტორში მდგომარეობა საბანგაბოა

მარიკა იაშვილი

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა საგანგაშო უწოდა იმ ვითარებას, რომელშიც ღაზას სექტორში 1.5 მილიონამდე პალესტინელს უხდება ცხოვრება.

როგორც ორგანიზაციის მოხსენებაშია ნათქვამი, ამის მთავარი მიზეზია ისრაელის მხრიდან სექტორის წინააღმდეგ მოწყობილი ბლოკადა, რომელიც დღემდე გრძელდება.

აღნიშნული ანგარიში ღაზაში ისრაელის სამხედრო მოქედების დასრულებიდან ექვსი თვის შემდეგ მომზადდა. წლის დასაწყისში წარმოებულ სამკვირიან ომს 1100 პალესტინელი ემსხვერპლა.

ისრაელი აცხადებდა, რომ სამხედრო მოქმედებების სამიზნე პალესტინელი ბოვიკები იყვნენ, რომლებიც ისრაელზე რეგულარულად ახორციელებდნენ სარაკეტო თავდასხმებს.

როგორც წითელი ჯვრის დასკვნაშია ნათქვამი, პალესტინელებს ცხოვრების ნორმალური პირობების დაბრუნება არ შეუძლიათ, რაც მათში სულ უფრო მეტ სასოწარკვეთილებას იწვევს.

კონკრეტულად კი, ღაზას სექტორში არ არის სამშენებლო მასალები, რაც ისრაელის ავიაციის საჰაერო თავდასხმების შედეგად დაზარალებული სახლების აღსადგენად არის საჭირო.

გარდა ამისა, წითელი ჯვრის განცხადებით, მძიმედ დაჭრილი პაციენტები ვერ იღებენ აუცილებელ სამედიცინო დახმარებას.

დასკვნა მოწმობს, რომ ბლოკირებულ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არ არის აღდგენილი წყალგაყვანილობა და კანალიზაცია.

ამავე დროს, ორშაბათს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ღაზას სექტორში მის ტერიტორიასა და ისრაელის სამხრეთში მომხდარი სამხედრო დანაშაულების გამოძიების ფარგლებში ღია მოსმენა ჩაატარა.

მოსმენას, რომელიც ორ დღეს გაგრძელდება, სამხრეთ აფრიკელი მოსამართლე რიარდ გოლდსტოუნი ატარებს.

მოსამართლემ გამოძიების შედეგები ივლისში შენევაში უნდა წარად-

გინოს.

ისრაელმა თავის ტერიტორიაზე გამომძიებელთა შეშვებაზე უარი განაცხადა. ქვეყნის ოფიციალური პირების განცხადებით, გამოძიება თავიდანვე ისრაელის წინააღმდეგ არის მიმართული.

წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის ცნობით, ღაზას სექტორში მოსახლეობის სიღარიბის დონე სამომხასიათს იღებს.

"ყველაზე ღარიბმა მოსახლეობამ ყველა შესაძლებლობა ამოწურა და იძულებულია, პროდუქტის საყიდლად თავისი ქონება გაყიდოს," - აღნიშნავს ანტუან გრანდი, ღაზას სექტორში წითელი ჯვრის დელეგაციის ხელმძღვანელი.

"ამით ყველაზე მეტად ბავშვები

ზარალდებიან, რომლებიც ღაზას სექტორის მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენენ," - აცხადებს გრანდი.

ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიახუს პრესმდივანმა იმ რთულ ვითარებაზე პასუხისმგებლობა, რომელშიც ღაზას სექტორის მოსახლეობა აღმოჩნდა, მოძრაობა "ჰამასს" დააკისრა. მან სექტორში მმართველობა ორი წლის წინ მიითვისა.

დონორებმა პირობა დადეს, რომ ღაზას სექტორის აღდგენისთვის 4.5 მილიარდ აშშ დოლარს გამოყოფენ.

ისრაელის სამხედრო ოპერაციის შედეგად 22 დღის განმავლობაში დაინგრა და დაზიანდა 50 ათასზე მეტი სახლი, 800 სანარმო, 200 სკოლა, 39 მეჩეთი და ორი ეკლესია.

## ირანში ხმების ხელახალი გადათვლა დაიწყო

პოზიციის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

ირანში 12 ივნისის საპრეზიდენტო არჩევნებზე შემოსული ხმების ნაწილობრივი გადათვლა დაიწყო. ირანის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს - კონსტიტუციის დამცველთა საბჭოს გადაწყვეტილებით, განმეორებით სულ ბიულეტენთა 10 პროცენტზე დაითვლება.

ერთ-ერთი დამარცხებული ოპოზიციური კანდიდატი მირ ჰოსეინ მუსაუვი ასეთ წინადადებას არ ეთანხმება და კვლავინდებურად არჩევნების შედეგების ბათილად ცნობას მოითხოვს. ირანის სახელმწიფო ტელევიზიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, არჩევნების შედეგები კიდევ ერთხელ გადამოწმდება ქვეყნის 22 რაიონსა და პროვინციაში.

მირ ჰოსეინ მუსაუვი, რომელიც 12 ივნისის არჩევნებში მოქმედ პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჯადთან დამარცხდა, არჩევნების შედეგების გადასამოწმებლად დამოუკიდებელი კომისიის შექმნას ითხოვს. მსგავსი მოთხოვნის საფუძველად მუსაუვი მთელ რიგ საარჩევნო უბ-

ნებზე დაფიქსირებულ დარღვევებს ასახელებს, რომელთა წყალობითაც, მისი მტკიცებით, არჩევნები გაყალბდა.

ოფიციალური ვერსიით, 12 ივნისის საარჩევნო მართონში მაჰმუდ აჰმადინეჯადმა გაიმარჯვა. მან ხმათა 62.3 პროცენტი მიიღო, ხოლო მისმა მთავარმა კონკურენტმა მუსაუვი ამომრჩეველთა 33.7 პროცენტის მხარდაჭერა მოიპოვა.

არჩევნების შედეგების გამოცხადებისთანავე, ირანის ოპოზიციამ საპროტესტო მოძრაობა დაიწყო, რომელსაც მუსაუვი და მისი მხარდამჭერები ჩაუდგნენ სათავეში. მასობრივ მანიფესტაციებს, რომლებიც თეირანის ქუჩებში თითქმის ორი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა, 13-დან 19-მდე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, 100-ზე მეტი დაიჭრა, ხოლო 450 დაპატიმრებულია.

კონსტიტუციის დამცველთა საბჭო თავდაპირველად კატეგორიულად უარყოფდა დარღვევის ფაქტებს, თუმცა მოგვიანებით აღიარა,



რომ 50 უბანზე დარღვევა მაინც დაფიქსირდა. იქ რეალურად იმაზე მეტი ხმა შევიდა, ვიდრე ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული. თუმცა საბჭოში თავიდანვე აცხადებდნენ, რომ

ეს დარღვევები უმნიშვნელოა და საბოლოო შედეგებზე გავლენას ვერ მოახდენდა.

აქციების დაწყებიდან დღემდე ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან

# რევოლუ

## ქეთი მელუას ქველმოქმედება

ფონდ "იავნანას" საქველმოქმედო კონცერტები თბილისსა და ბათუმში

ნა ვაკაა

მსოფლიო სცენის ყველაზე წარმატებული ქართველი მომღერალი, ქეთი მელუა სამშობლოში პირველი სოლო კონცერტების გასამართად ემზადება. კონცერტები 14 და 15 ივლისს თბილისსა და ბათუმში გაიმართება და საქველმოქმედო იქნება. ვინაიდან სიტყვა ქველმოქმედება ჩვენთან ყველაზე მყარად ფონდ "იავნანასთან" ირითმება, ცხადია ქეთის მთავარი მასპინძელი სწორედ პაატა ბურჭულაძის ფონდი იქნება.

პირველი კონცერტი 14 ივლისს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართება. ბილეთებიდან შემოსული თანხა კი ტრადიციულად მრავალშვილიანი ოჯახისთვის სახლის შექმნას მოხმარდება. გაცილებით მასშტაბური იქნება 15 ივლისს ბათუმში დაგეგმილი კონცერტი, რომლის პირდაპირი ტრანსლაცია "რუსთავი 2-ის" ეთერით მოხდება, მაყურებელს კი შესაძლებლობა ექნება "იავნანას" ჯადოსნურ ნომერზე, 30-30-ზე დარეკვით საკუთარი წვლილი შეიტანოს ერთი ოჯახის ბინით უზრუნველყოფის საქმეში.

"იავნანას" გარდა ქეთი მელუას საქართველოში ჩამოსვლის ორგანიზატორები საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო და მსგავსი სინჯის ვარსკვლავების ტრადიციული მასპინძელი კომპანია "ისტერნ პრომოუშენია". ფონდ "იავნანასა" და ქეთი მელუას წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკება დიდი ხანია მიმდინარეობს და ამ პროცესში სამინისტროც აქტიურად იყო ჩართული. ბათუმში კონცერტის გამართვა ქეთიმ თავად ისურვა, რასაც მაშინვე დაუჭირებდა მხარი, რადგან გარდა იმისა, რომ ამ კონცერტიდან შემოსული თანხით ადგილობრივ მრავალშვილიან ოჯახს სახლს უყიდიან, ტურისტული სეზონის გასწვრივ შესანიშნავი საბაბია. ტურისტების რეგიონში მოზიდვა კი ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, - განაცხადა კულტურის მინისტრის მოადგილე მაკო ჭოლოშვილმა.

"იავნანასა" და ქეთი მელუას



ურთიერთობა ჯერ კიდევ 2005 წლიდან დაიწყო, როდესაც ბერლინში, გერმანიაში საქართველოს მაშინდელი ელჩის, მაია ფანჯიკიძის ორგანიზებით ქეთიმ საქველმოქმედო კონცერტი ჩაატარა. შემოსული თანხით გურჯაანის ცერემბლარული დამბლით დაავადებულ ბავშვთა სახლის სამრეცხაო შენობა შეაკეთეს. ქეთიმ სწორედ მაშინ გამოხატა სურვილი, საქართველოშიც ჩაეტარებინა საქველმოქმედო კონცერტი, თუმცა მისი დატვირთული გრაფიკის გამო ამის გაკეთება მხოლოდ ახლა მოხერხდა.

ქეთი მელუა თბილისსა და ბათუმში საკუთარ ბენდთან ერთად ჩამოდის. კონცერტებზე კი ყველა საუკეთესო სიმღერას შეასრულებს. მსმენელს სიურპრიზიც ელის: ერთ სიმღერას იგი თვით პაატა ბურჭულაძესთან ერთად იმღერებს, რომელმაც ამ ორი კონცერტის გამო საკუთარი გეგმები შეცვალა. რაც შეეხება ქეთი მელუასა და ფონდ "იავნანას" მომავალ გეგმებს, ოქტომბერში ფონდი გრანდიოზულ

აუქციონს გეგმავს, რომელზეც ერთ-ერთ ლოტად ქეთის მიერ შემონიშნულ გიტარას გაიტანენ. ეს სწორედ ის გიტარაა, რომელზეც ქეთი მელუამ დაკვრა ისწავლა.

გიტარა ქეთი მელუას საკონცერტო გამოსვლების აუცილებელი ატრიბუტი, მისი პარტნიორია. ამ ინსტრუმენტზე იგი ბავშვობიდან უკრავს და ბლუზის, ჯაზისა თუ ფოლკის რიტმებს მსმენელს სწორედ მისი დახმარებით აწვდის. გოგონა, რომელის ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროინდელ ქუთაისში დაიბადა, იზრდებოდა თბილისსა და შემდეგ უკვე ბათუმში, 90-იანი წლების დასაწყისში ოჯახთან ერთად ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქ ბელფასტში აღმოჩნდა. ამას მოჰყვა სკოლა, ახალი მეგობრები, ახალი გარემო, ინტერესები, თუმცა მუსიკა ის ერთადერთი იყო, რაც მის ცნობიერებაში არ იცვლებოდა, პირიქით - სულ უფრო მყარდებოდა.

ჟურნალ "ამარტასთვის" მიცემულ ინტერვიუში ქეთი მელუა იხსენებდა იმ პერიოდს, როდესაც მის

სამყაროში მუსიკალური ტრანსფორმირება მიმდინარეობდა: მუსიკალურ სკოლაში სწავლისას თინეიჯერისთვის დამახასიათებელი მუსიკით ინტერესდებოდა - პოპი, ჰიპ-ჰოპი, სოული, არ ენ ბი. სკოლის მეგობრები ხშირად ცვლიდნენ ჩანანერებს. ასე აღმოჩნდა ქეთის აუდიო კოლექციაში ბობ დილანის, ელა ფიცჯერალდის, ჯონი მიტჩელისა და 60-იანი წლების სხვა ვარსკვლავების ჩანანერები. ეს იყო მუსიკა, რომელმაც თავისი სულიერებითა და სიღრმით დააინტერესა და მისი ცნობიერების ნაწილად იქცა. ნელ-ნელა თავადაც დაიწყო ასეთი მუსიკის შექმნა და სულაც არ ანუხებდა, რომ ეს ყველაფერი ვილაციისთვის ცოტა მოძველებული, არათანამედროვე იქნებოდა. თუმცა ამის საშიშროება მაშინვე გაქრა, როდესაც ქეთი სცენაზე გამოჩნდა - მისი მუსიკალურობა, თავდაჯერებულობა და ლალი იმიჯი იმ ერთიანი თვისების შემადგენელი ნაწილები აღმოჩნდა, რისი მეშვეობითაც ქეთის მუსიკის მსმენელთა რიგებში ყველა ასაკის

აუდიტორია გამოჩნდა. ქეთიმ კარიერის დასაწყისშივე აირჩია კურსი, რომელიც როგორც წესი ამართლებს: "ვცდილობ, ვაკეთო ის, რაც რასაც სწორად მივიჩნევ. ვიცი, თუ ასე არ მოვიქცევი, ინდივიდუალიზმს დავკარგავ, ამას კი არც მსმენელი მაპატიებს და არც ის სამყარო, რომლის ნაწილიც ვარ".

ამავე ინტერვიუში ქეთი წარმატებისკენ მიმავალი გზის გამოჩენის პირველ ნიშნებსაც იხსენებს, როდესაც ლონდონის მუსიკალურ სკოლაში დამწყები მუსიკოსების მოსასმენად მისი მომავალი მენეჯერი, მაიკ ბატი მივიდა. მაშინ ქეთი 15 წლის იყო, საკუთარ ძალებში ნაკლებად იყო დარწმუნებული, ამიტომ დიდხანს ყოყმანობდა, გასულიყო თუ არა მოსმენაზე. რატომღაც არ ვიყავი დარწმუნებული, რომ მოვეწონებოდი. თუმცა შინაგანი ხმა მაძალებდა ეს ნაბიჯი გადამედე და მოსმენაზე წავედი, ვიმღერე და მაიკ ბატი მალე ჩემი მენეჯერი გახდა", - იხსენებს ქეთი.

დღეს უკვე ქეთი მელუა მსოფლიო მნიშვნელობის მუსიკოსი, მსოფლიო შოუ ბიზნესის ნაწილია: "გამიმართლა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ სამყაროში ადგილი მუდამ გარანტირებული მექნება. მუსიკალური შოუბიზნესი ის ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც სიზარმაცეს, საქმისადმი ზერეულ დამოკიდებულებას და საკუთარი ბრწყინვალეობით ტკობას არავის პატიობს. ბევრს ჰგონია, რომ როგორც კი ხმის ჩანწერ კომპანიასთან მოაწერს ხელს, მწვერვალისკენ გზა გახსნილი აქვს. ეს ყველაზე მცდარი შეფასებაა. ყველაზე რთული ეტაპი ამის მერე იწყება - დაუღალავი შრომა, მუშაობა საკუთარ თავზე, მუსიკაზე, თითოეულ ნოტსა თუ აკორდზე. შოუ ბიზნესში შესვლაზე ძნელი იქ ადგილის დამკვიდრებაა. თუ გაგიმართლებს, გვერდზე გეყოლება ხალხი, ვინც ამ ყველაფერზე შენთან ერთად იზრუნებს. საბედნიეროდ, მე სწორედ ასეთი ადამიანების გარემოცვაში მოვხვები. ისინი მეხმარებიან პრობლემებთან და ყველანაირ წვრილმანთან გამკლავებაში. მაიკ ბატი კი ჩემი მთავარი დასაყრდენია. ჩვენ ხშირად ერთად ვწერთ მუსიკას და შეკრული გუნდი გვყავს..."

## Faith No More წლის ჯგუფის ნომინაციაში

ჟურნალმა Classic Rock ნომინანტები დაასახელა

მართალია თანამედროვე მუსიკის მსმენელთა გემოვნება პოპსა და ე.წ. შავ მუსიკას უფრო სწავლობს, დედამიწაზე ჯერ კიდევ შემორჩენილია კუნძულური, სადაც მხოლოდ და მხოლოდ როკისთვის მოიძებნება ადგილი. ერთ-ერთი ასეთი კუნძულია მუსიკალური ჟურნალი Classic Rock, რომელიც ყოველწლიურად აწესებს საკუთარ ნომინაციებს და გამარჯვებულებს აჯილდოვებს კიდევ. ორიოდე დღის წინ კი 2009 წლის ნომინანტების ჩამონათვალი გახდა ცნობილი.

პრემია სახელწოდებით Classic Rock Roll Of Honour ექვს ნომინაციაში გაიცემა, ხოლო ფავორიტებს ღია კენჭისყრით ასახელებენ. ნომინანტების

დასახელების პატივი ამჯერად ლეგენდარული თუმცა პაროდული ჰევი მეტალ ჯგუფის, Spinal Tap-ის წევრებს ხვდათ წილად. Classic Rock Roll Of Honour-ის მოპოვების შანსები წლის ალბომის ნომინაციაში შემდეგ ჯგუფებს აქვთ: AC/DC-ს Black Ice-სთვის, Metallica-ს ალბომისთვის Death Magnetic, Guns N'Roses-ს Chinese Democracy-სთვის, Black Sabbath-ის წევრების პროექტ Heaven & Hell-ს The Devil You Know-სთვის, The Raconteurs-ს Consolers Of The Lonely-სა და The Parlor Mob-ს ალბომისთვის And You Were A Crow.

აქვეა ნომინაცია წლის საუკეთესო მუსიკალური ფილმისთვის. ვინაიდან

მარტინ სკორსეზეს მიერ "როლინგს-ტოუნზე" გადაღებულმა Shine A Light-მა უკვე მოიპოვა მსოფლიო წარმატება, მას გამარჯვების დიდი შანსი აქვს. თუმცა ასევე შესაძლოა გაიმარჯვოს ვუდსტოკის ფესტივალის 40 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ფილმმაც, ისევე, როგორც "კისისს" შესახებ გადაღებულმა Kissology - The Ultimate Kiss Collection-მა. საუკეთესო კონცერტის ნომინაციაზე გამარჯვების რეალური შანსი აქვს AC/DC-ს კონცერტ AC/DC take over the world. ამავე ნომინაციაში მოხვდა კონცერტები Download, Hard Rock Hell II, The Resurrection of Anvil!, The Return Of The Tap! და Maiden get a Brit. წლის

დებიუტანტის ნოდებისთვის კი ექვსი ჯგუფი იბრძობებს: Chickenfoot, The Parlor Mob, Diagonal, Steady r, Crippled Black Phoenix და New Device.

ცხადია ყველაზე დიდი ინტრიგა წლის საუკეთესო ბენდის ნომინაციაშია, სადაც ერთმანეთს ნამდვილი დინოზავრები დაეჯახებიან: AC/DC, Iron Maiden, Kings Of Leon, Faith No More და Metallica. ინტრიგა კი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ჩამონათვალში შესული გუფებიდან ერთ-ერთი - Faith No More სცენაზე ერთი თვის წინ დაბრუნდა და თანაც 11 წლიანი შესვენების შემდეგ! Faith No More 90-იანი წლების ლეგენდარული ჯგუფია, რომელმაც უკანასკნელი ალბომი 1997 წელს გამო-

უშვა, ერთი წლს შემდეგ კი მუსიკოსებმა დაშლის შესახებ გამოაცხადეს. ყველა მათგანმა სოლო კარიერა წამოიწყო, ყველაზე წარმატებული კი ჯგუფის ფრონტმენი მაიკ პეტრონი აღმოჩნდა. დაახლოებით ორი თვის წინ კი Faith No More-ს საიტზე გამოჩნდა ინფორმაცია ჯგუფის აღდგენის შესახებ, რასაც მალევე მოჰყვა ტურნეს კონცერტების ჩამონათვალიც.

შეგახსენებთ, რომ შარშან Classic Rock Roll Of Honour-ის ვერსიით წლის ჯგუფი Foo Fighters გახდა, საუკეთესო ალბომად Whitesnake-ს Good To Be Bad დაასახელეს, ხოლო წლის ივენთი ცხადია Led Zeppelin-ის ლონდონში გამართული კონცერტი იყო.

ბასა ჯანიკაშვილის სკეტი



ინტერვიუ 28

# უსმინეთ, უსმინეთ, უსმინეთ ჩქარა!

ჩვენი სტუმარია თვალთვალის და მოსმენების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მესამე მოადგილის გარე მამიდაშვილი გიორგი მოსმენილი. ბატონი გიორგი მოსმენილი, როგორც მისი შორეული ნათესავი ამავე დეპარტამენტში მუშაობს, ამიტომ, შევეცადე უფრო დეტალური ინფორმაცია გამეგო პოლიტიკური მოსმენებისა და თვალთვალის შესახებ.

**ბასა ჯანიკაშვილი** - ბატონო გიორგი მოსმენილი, რამდენი წელია ამ დეპარტამენტში მუშაობთ?

**გიორგი მოსმენილი** - უკვე ოთხი წელია და მინდა გითხრათ, რომ ამ ოთხი წლის მანძილზე მკაცრად დისციპლინირებული და მუშა ჯგუფი ჩამოყალიბდა.

**ბ.ჯ.** - ეჭვი არ მეპარება. მოდი, მოგვიყვიეთ რას საქმიანობს თქვენი დეპარტამენტი?

**გ.მ.** - ჩვენი დეპარტამენტი რამდენიმე ქვედეპარტამენტებადაა დაყოფილი. აქ არის პირველხარისხოვანი, მეორეხარისხოვანი, სუპერ და ონლაინ დეპარტამენტები.

**ბ.ჯ.** - ონლაინ დეპარტამენტი დავინწყით. მაგალითად, რას აკეთებს ონლაინ დეპარტამენტი?

**გ.მ.** - ამ დეპარტამენტში ექვსასი ადამიანი მუშაობს და ისინი ყოველდღიურ რეჟიმში ამუშავებენ ოპერატიულ ინფორმაციას. ოპერატიულ ინფორმაციად ის ინფორმაცია ითვლება, რომელიც ყოველდღიურ ონლაინ რეჟიმში მუშავდება.

**ბ.ჯ.** - ანუ პიროვნება, რომლის მობილური საუბრები ისმინება, ავტომატურად ოპერატიულ მასალადაა ქცეული?

**გ.მ.** - არა მარტო მობილური ტელეფონი. ასევე სახლის სამსახირის ტელეფონი, გარე და შიდა თვალთვალი და სხვა სახის ოპერატიული სამუშაოები.

**ბ.ჯ.** - გარე და შიდა თვალთვალი რა არის?

**გ.მ.** - გარე და შიდა თვალთვალი გარე და შიდა თვალთვალია. სახლი, ოფისი, სამეგობრო წრე, ქუჩა და ასე შემდეგ.

**ბ.ჯ.** - და ექვსასი ადამიანი საკმარისია იმისათვის, რომ ყველას მოსმენა და სწრაფად ინფორმაციის დახარისხება მოესწროს?

**გ.მ.** - ადამიანი დღემდე საშუალოდ 45 წუთს საუბრობს. ერთი სამუშაო ცვლა 10 საათიანია, ამიტომ უბრალო არითმეტიკით გადათვალეთ, რამდენი ადამიანის მოსმენა შეუძლია ერთ თანამშრომელს. შემდეგ ეს ინფორმაცია იზიფრება, ხარისხდება და სხვა ქვედეპარტამენტებს ეგზავნება. ეს ყველაფერი იმითომ კეთდება, რომ ქვეყნის უსაფრთხოება დაცვივით გარე სპეცსამსახურებისგან. დამიჯერეთ, ყველა ქვეყანაში ასე ხდება.

**ბ.ჯ.** - მაგრამ სხვა ქვეყნებში ამისათვის სასამართლოს ნებართვა საჭირო.

**გ.მ.** - სასამართლო ნებართვის გარეშე ჩვენც არ ვმუშაობთ.

**ბ.ჯ.** - იმ სასამართლოს ნებართვა, რომელიც დამოუკიდებელი არ არის?

**გ.მ.** - ეს უკვე პოლიტიკაა. მე ჩემი საქმის სპეციალისტი ვარ.

**ბ.ჯ.** - როგორ მუშაობს პირველი ხარისხის ქვედეპარტამენტი?

**გ.მ.** - პირველი ხარისხის მოსმენისა და თვალთვალის ქვედეპარტამენტში ათას სამასი ადამიანი მუშაობს. ინერტა გაცილებით დიდი რაოდენობის მოქალაქეთა მასალა და შემდეგ, სამი დღის განმავლობაში ხდება ამ მასალის დამუშავება და გადაგზავნა შესაბამისობების მიხედვით. მეორე ხარისხის ჯგუფში ჩანერილი მასალა ერთი კვირის განმავლობაში უნდა დამუშავდეს. აქ, რა თქმა უნდა მოსახლეობის საერთო მასის ყველაზე დიდი რაოდენობაა მოცემული.

**ბ.ჯ.** - ვის არ უსმენთ?

**გ.მ.** - ჩვენ არ ვუსმენთ ჩვენ თავს, ანუ იმ ადამიანებს, ვინც მოსმენისა და თვალთვალის დეპარტამენტში მუშაობს.

**ბ.ჯ.** - გამოდის, რომ თუ გინდა რომ არ მოგისმინონ, თქვენს დეპარტამენტში უნდა იმუშაოთ?

**გ.მ.** - არა, ჩვენ ესეც გავთვალეთ და შევქმენით სუპერ ქვედეპარტამენტი. ისინი ჩვენ გვისმენენ.

**ბ.ჯ.** - უკაცრავად, მაგრამ სუპერ დეპარტამენტის თანამშრომლებს ვინ უსმენს?

**გ.მ.** - მოდი, დღეს ამ ინფორმაციით დავკმაყოფილდეთ.

# "ვეფხისტყაოსანი" - ქართველთა ნიჭიარაბისა და მხატვრული აზროვნების საზომი

თამარ კიკნაველიძე

"ვეფხისტყაოსანი" ზღვაა, რომელიც სიღრმეშია საშიში, თორემ ნაპირზე ბავშვსაც შეუძლია ირბინოს", - ბესიკ ხარანაული.

თბილისის ნიგნის ფესტივალის ფარგლებში არაერთი ახალი გამოცემის პრეზენტაცია მოენყო. მკითხველის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია 27 ივნისს გამართულმა შეხვედრამ, რომელზეც "მოგითხრობთ ვეფხისტყაოსნის შესახებ" წარმოგიდგინეს.

ეს ნიგნი პროექტის - "ჩვენ და ვეფხისტყაოსანი" ყველაზე კონცეპტუალური განაცხადია. ამ სერიით უკვე გადავფურცლეთ ქეთი მატაბელის ხელით დაფოლიანტებული მამუკა თავაქარაშვილისეული მინიატურები, ავთანდილ არაბულისა და მამია მალაზონის მიერ მოთხრობილი "ვეფხისტყაოსანი" (მათ შესახებ გაზეთი "24 საათი" ვრცლად წერდა). რაც შეეხება ახალ გამოცემას, მასში თავმოყრილია ორასამდე ავტორის სამეცნიერო, მხატვრული, საგანმანათლებლო თუ ვიზუალური მასალა. ამ პროექტის გულშემატკივრებისთვის ცნობილია, რომ პროექტის ხელმძღვანელია შვედურ შვედრადმწიფი, დივის ავტორი - მანანა კარტოზია, მთავარი რედაქტორი - ლევან ღვინჯილია, დიზაინერი - გიორგი ბოხუა. პროექტის მიზანია: "ქართველი ხალხის უპირველესი ნიგნის, უპირველესი განძის პოპულარიზაცია და მის მიმართ მკითხველი საზოგადოების გააზრებული დამოკიდებულების ჩამოყალიბება". მათი სალოგოა: "გადავაცქიოთ დიდებული რუსთაველი საყვარელ რუსთაველად!".

პრეზენტაციას პროექტში მონაწილე ავტორთა უმრავლესობა ესწრებოდა. ახალი ნიგნის წარდგენის შემდეგ, სტუმრებს საჩუქრად გადაეცათ გემოვნებით შედგენილი და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ნიგნი. ამას გარდა, მოეწყო აუქციონი, რომელსაც ლევან თავაქარაშვილი უძღვევოდა. გასაყიდად გამოიტანეს ქეთი მატაბელის მიერ გაფორმებული "ვეფხისტყაოსნის" მინიატურული ვერსიები, რომელიც ავტორის ხელნაწილი ყდითა და ყუთით იყო დამუშავებული, ახლდა ავრეთევე ერთ-ერთი ილუსტრაციის დედანი. აუქციონზე გამოტანილი ექსპონატის საწყისი ფასი იყო 750 ლარი. საბოლოოდ ექსპონატი უსასყიდლოდ გადაეცა ემზარ ჯგერენიას საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკისთვის, რამაც კოლექციონერთა ენებები უმტკივნეულოდ დააცხრო.

ამ პროექტის ფარგლებში გამოცემილ დარჩა სერიის პირველი ნიგნი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის "ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ პოემის 2009 წლისათვის შერეშული ვარიანტი. ამ გამოცემათა მნიშვნელობაზე გავსაუბრეთ ლევან ღვინჯილიას, რომელმაც გვითხრა: - "პროექტი "ჩვენ და ვეფხისტყაოსანი", რომელიც ნიგნისგან შედგება, არის ძალიან საინტერესო ამ თემისადმი დამოკიდებულებისა და მიდგომის თვალსაზრისით. პირველი ნიგნია საკუთრივ "ვეფხისტყაოსნის" ტექსტი. ის ჯერ არ გამოცემულა, მაგრამ მალე (სავარაუდოდ, წლის ბოლოსათვის) დაისტამბება. მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ნიგნები უკვე გამოვი-



ლევან ღვინჯილია და ბესიკ ხარანაული ნიგნის პრეზენტაციაზე.

და. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მეორე ნიგნის პრეზენტაცია. მასში თავმოყრილია სხვადასხვა დროის, მიმართულებისა და დარგის ორასამდე წარმოდგენილი. აქ განთავსებულია არა მხოლოდ საკუთრივ რუსთაველოლოგიური მასალა, არამედ, ვთქვათ, ეთნოლოგიის თვალთ, ბიოლოგიის თვალთ, ბიოგეოგრაფიის თვალთ... დანახული რუსთაველი. ეს თვალსაზრისები მეტად საინტერესოდ და ფერადოვნად არის მოწოდებული, ამის შესაძლებლობას იძლეოდა სტამბა "სეზანი".

**- რას გვეყვით ავტორთა იმ შემადგენლობაზე, რომელიც მეორე ნიგნშია წარმოდგენილი?**

- რაც შეეხება ავტორთა შემადგენლობას, ნიგნი ჭაბუა ამირეჯიბის შესავალი წერილით იხსნება. დასაწყისშივეა მოთავსებული საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის წერილი, რომელიც საყურადღებოა ამ ნიგნის არა მხოლოდ შემადგენელთათვის, არამედ მკითხველთათვისაც. ეს წერილი 1966 წელს, რუსთაველის 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაიწერა და პირველად ამ კრებულში გამოქვეყნდა. მისი საბოლოო რედაქტირება პატრიარქის კურთხევით მოხდა. აქ თავმოყრილია საგანგებოდ ამ კრებულისთვის დანერგილი მასალები, სხვადასხვა დროს ნიგნებსა თუ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული უწმინდეს ნელოვანესი ნაშრომები, ინფორმაცია "ვეფხისტყაოსნის" კვლევის არა მხოლოდ რუსთაველოლოგიურ მიღწევებზე, არამედ ილუსტრატორებზე, მხატვრულ გაფორმებაზე, "ვეფხისტყაოსნის" კულტურის სხვა დარგებთან ურთიერთობის ისტორიაზე, საიუბილეო თარიღების აღნიშვნასთან დაკავშირებულ ამბებზე... ერთი სიტყვით, მკითხველი აქ ბევრ რასამე საინტერესოს აღმოაჩენს.

**- რა ასაკის მკითხველზეა ის გათვლილი?**

- ვფიქრობ, რომ ეს ნიგნი საინტერესო იქნება ყველა ასაკის მკითხველისთვის, იმ ბავშვებისთვისაც კი, რომლებმაც ჯერ წერა-კითხვა არ იციან. მათ შეუძლიათ ეს გამოცემა უბრალოდ გადაფურცლონ, დათვალაირონ და მასში ბევრი შთაბეჭდილი რამ იხილონ. ჩვენს მკითხველს "ვეფხისტყაოსნის" სიყვარული სასურველია სიყრმის წლებიდან-

ვე ჩვენერგოს. ბესიკ ხარანაული თავის წერილში მშვენივრად ამბობს, რომ "ვეფხისტყაოსანი" ზღვაა, რომელიც სიღრმეშია საშიში, თორემ ნაპირზე შეუძლია ბავშვსაც ირბინოს...

**- თუმცა, ბავშვებისთვის ყველაზე ახლობელი, ალბათ, მაინც ავთანდილ არაბულისა და მამია მალაზონიას მიერ მოთხრობილი "ვეფხისტყაოსანი" აღმოჩნდება...**

- დიახ, ნიგნი "ვეფხისტყაოსანის" მოგითხრობენ ავთანდილ არაბული და მამია მალაზონია" სწორედ ბავშვებისთვის შეიქმნა. ეს არ არის პოეტურად დაწერილი ნაწარმოები პროზად. ის იმდენად საინტერესოდ არის მოთხრობილი, რომ ლამის გააჩნია დამოუკიდებელი ნაწარმოების ღირსება, რაც ავთანდილ არაბულის დამსახურებაა. ჩვენი საზოგადოება მას იცნობს, როგორც გამოჩენილ ლინგვისტსა და ფილოლოგიის პროფესორს. "ვეფხისტყაოსნის" ეს მონათხრობი, რომელსაც ავტორმა "პოემის ნაკითხვამდე ნაკითხი" უწოდა, ვფიქრობ, რომ საინტერესო პრელუდია იქნება რუსთაველის სამყაროში შესასვლელად. ამ პროექტის ფარგლებში გამოცემით ასევე "ვეფხისტყაოსნის" ბიბლიოგრაფია, რომელშიც დღემდე არსებული ყველა გამოცემა შესული ყდის ფოტოთი და სატიტულო ფურცლებით. სპეციალისტებისთვის ეს დიდად სასარგებლო გამოცემაა.

**- პრეზენტაციაზე აღნიშნეთ, რომ ახალ ნიგნში იმ ავტორთა წერილებიც შეიტანეთ, ბოლომდე რომ არ ეთანხმებით...**

- მე, როგორც რედაქტორს, განსაკუთრებული ყურადღება მქონდა გამახვილებული, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ტექსტის რედაქტირებაზე და ავტორის აზრის რედაქტირებისგან თავს მაქსიმალურად ვიკავებდი. აქ ცვლილებები მხოლოდ ავტორთან შეთანხმებით მოხდა. თუმცა, აღმოჩნდა რამდენიმე ჯიუტი ავტორი, ვისაც უნდოდა მათი აზრი ისე დარჩენილიყო, როგორც საჭიროდ მიაჩნდა და ჩვენ მათთვის წინააღმდეგობა არ გავინვივია. ახლა მე საკუთარ თავს უფლებას ვერ ვიძვემ, ისინი გაზეთის მკითხველთან დავაბეზლო, მირჩევნია მკითხველი ამ ნიგნს თავად გაეცნოს და მიხვდეს, ვისზეა ლაპარაკი. ერთ-ერთი ავტორი წერს, რუსთაველი დღესაც ძალიან თანამედროვედ უღერს, გეგონება "ვეფხისტყაოსანი" გუშინ დაინერაო და ნახევრად ხუმრო-

ბით მოჰყავს ცნობილი სტროფი "ვეფხისტყაოსნიდან" - "რა ყვავი ვარდასა იშოვის, თავი ბულბული გონია", რომელიც პირადად ჩემთვის მეტად საინტერესო ქვეტექსტია და ამ წერილის დაბეჭდვა ამიტომაც ღირდა.

საგანგებოდ ამ გამოცემისთვის დაიბეჭდა მაგალითად: აკა მორჩილას "ვეფხისტყაოსნის დღიურები", ბესიკ ხარანაულის წერილი... აქ შესულია არნოდდ გეგეჭკორის ვრცელი ნაშრომი "ვეფხისტყაოსანი" ბიოგეოგრაფიის თვალთ, ილუსტრირებული ცხოველთა და მცენარეთა სამყარო "ვეფხისტყაოსანში" და ყველაფერი ამ ცხოველებისა და მცენარეების შესახებ (მათი ფერადი ფოტოების ჩათვლით)... აღსანიშნავია, რომ თბილისის რამდენიმე სკოლაში უკვე დაიწყეს ამ თემების დამუშავება და რუსთაველისკენ შემობრუნება. ეს დიდად დამაიმედებელია საიმისოდ, რომ ქართველები რუსთაველისადმი ყურადღებებს არასოდეს მოადუნებენ. მით უფრო, რომ ჩვენი ნიჭიერებისა და მხატვრული აზროვნების საზომი სწორედ რუსთაველია და ყველა ხელოვანი, რომელიც გვეყავს და კვლავაც გვეყოლება, სასურველია ამ სიმალეების დაძლევისკენ მიისწრაფოდეს. თუ ჩვენ ამ საქმეში სულ ცოტა წვლილი მაინც შეიტანეთ, ტყუილად არ გვიშროშია.

**- ამ პროექტის ფარგლებში გამოცემად დარჩა კიდევ ერთი, პირველი ნიგნი. რას გვეყვით იმისზე?**

- პირველი ნიგნი, რომელსაც საზოგადოება მალე მიიღებს, ეს არის საკუთრივ "ვეფხისტყაოსნის" ტექსტი, მომზადებული ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ. მოგესხებებათ, რომ ასეთი კომისია შექმნილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. ის "ვეფხისტყაოსნის" დაუსტებულ ტექსტებს წლების მანძილზე აქეყვებდა. ღმერთმა ქაას, რომ საკუთრივ რუსთაველისეული ვერსია აღმოვაჩინეთ, მაგრამ რამდენადაც ის არ გვაქვს, იძულებული ვართ ნამდვილი ტექსტი სხვადასხვა ხელნაწერთა შეჯერებით დავადგინოთ. ამაზე მუშაობა რამდენიმე ათეული წელია მიმდინარეობს და ჩვენს გამოცემაში აისახება.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ რამდენიმე საბოდიშო სიტყვის თქმა გვთხოვა ქალბატონმა მანანა კარტოზიამ: - "მეორე ნიგნზე ორი წელი ინტენსიურად ვმუშაობდით, გაზაფხულზე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება ჩვენს შემართებაზეც აისახა და ერთგვარად დავმუხსრუქდით, ივნისში ვადმოგვეცნა პატრიარქის წერილი და ამან დავგებინა ხალისი, სასწრაფოდ, ნიგნის ბაზრობისათვის დავგვესრულებინა გამოცემა, ფინისის სწორეც ვაიტნობის პანიკური ვაცლით ვმუშაობდით, რამაც რამდენიმე დასანანი კორექტურა და უზუსტობა დაგვაშვებინა, რამდენიმე ავტორიც ასე ბოლო ფაციფუცში ჩაგვეკარგა, ეს ძლიერ დასანანია, თუმცა, თავი გვირდა ვინუგეშოთ იმით, რომ პროექტი გრძელდება, მიმდინარეობს მოლაპარაკებები კულტურის სამინისტროსთან და შეიძლება ჟურნალის გამოცემაც კი მოხერხდეს, ამიტომ მოვიწოდებთ ყველას, ვითანამშრომლოთ, პროექტი "ჩვენ და ვეფხისტყაოსანი" გრძელდება, ნიგნის ფესტივალზე მკითხველთან უშუალო ურთიერთობამ მიგვახვედრა რუსთაველი გვათლიანებს და გვაძლიერებს".

# მომხდართან დაბრუნება

თამარ კიკნაველიძე



სეზონის დასრულება იმდენად, რომ, როგორც ბარტს თუ დავესესხებით, "ის, რასაც ფოტოგრაფია უსასრულოდ იმეორებს ერთხელ მოხდა; იგი უსასრულოდ იმეორებს იმას, რაც ეგზისტენციალურ სიბრტყეში აღარ შეიძლება განმეორდეს". ფოტოგრაფიის არსიც სწორედ ამანია. მრავალი მიზეზის გამო მომხდართან დაბრუნება დღეს გარდაუვალი აუცილებლობაა. შესაბამისად, ასეთივე გარდაუვალი აუცილებლობა იყო ამ ფოტოების გამოქვეყნებაც ასე რომ, ეს 2008 წლის აგვისტოა. საქართველო, - ნათქვამია ფურნალის შესავალში.

ვინ არის ეს 11 ფოტოგრაფი? ცნობილი ავტორები, რომლებიც ასეთივე ცნობილ გამოცემებთან თუ სააგენტოებთან თანამშრომლობენ. აქ შესულია ბრუნო სტივენსის, მაიკლ რობინსონ ჩავეზის, ალექს მათილის, რონ ჰაივისის, ქიუ საკამაკის, ოლივიე ლაბან-მატის, იური კოზირევის, ლიონელ შარიეს, რენა ეფენდის, იუსტინა მელნიკევიჩის ნამუშევრები. ეს ავტორები თანამშრომლობენ ისეთ გამოცემებთან თუ სააგენტოებთან როგორებიცაა: Stern, Newsweek, Liberation, The Sunday Times Magazine, Pairs Match, The Los Angeles Times, New York Times Magazine, Granta, National Geographic, VII Agency, Agence France Presse, Agency Photographer.Ru და ა.შ.

ნესტან ნიჟარაძე: - "ამ ფურნალში



კახა კალაძე

ფურნალში ასახულია, ძირითადად, ომის შედეგები და ამ შედეგებით გამოწვეული უსაშველო ტკივილი და დანაკლისი. ადამიანთა სახეებზე აღბეჭდილი განცდები, მათი აზრს მოკლებული ყოფა და ყველაფერი ის, რაც ასოცირდება იმასთან, რასაც ომი ჰქვია.

ფურნალში ასახულია, ძირითადად, ომის შედეგები და ამ შედეგებით გამოწვეული უსაშველო ტკივილი და დანაკლისი. ადამიანთა სახეებზე აღბეჭდილი განცდები, მათი აზრს მოკლებული ყოფა და ყველაფერი ის, რაც ასოცირდება იმასთან, რასაც ომი ჰქვია.

ფურნალში ასახულია, ძირითადად, ომის შედეგები და ამ შედეგებით გამოწვეული უსაშველო ტკივილი და დანაკლისი. ადამიანთა სახეებზე აღბეჭდილი განცდები, მათი აზრს მოკლებული ყოფა და ყველაფერი ის, რაც ასოცირდება იმასთან, რასაც ომი ჰქვია.

მალე გასული წლის აგვისტოს მოვლენებიდან წელიწადი გავა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე გადატანილსა და განცდილს ფორმა ვერ მოვუძებნეთ იმისათვის, რომ ჩვენი ტკივილი სხვებისთვის გაგვეზიარებინა და ასეთ უსამართლობაზე ხმამაღლა გვეყვირა. ამ თვალსაზრისითაც, ვფიქრობ, საინტერესო მოვლენაა ფურნალ PHOTO-ს გამოცემა. მისი სპეცგამოშვება სწორედ 2008 წლის აგვისტოში განვითარებულ მოვლენებს ასახავს, ამასთან უცხოელი ცნობილი ფოტოგრაფების თვალთ.

ახალი ფურნალის პრეზენტაცია გუშინ, "შერატონ მეტეხი პალასში" შედგა. ამ დღეს იქ საზოგადოების ცნობილმა წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი, დანყებულნი ქართველი ფოტოგრაფებიდან, საელჩოების წარმომადგენლებით დამთავრებული. მისი გამომცემელია "თბილისის ფოტოგრაფიის სახლი", რედაქტორები - ნესტან ნიჟარაძე და გურამ ნიბახაშვილი. პრეზენტაციაზე მათ საზგასმით აღნიშნეს, რომ არა "კალაფონდი" ამ ფურნალის გამოცემა ვერ მოხერხდებოდა.

"24 საათის" მკითხველი მოიგონებს, რომ ზემოთ აღნიშნული რედაქტორები აქამდეც გამოსცემდნენ იგივე სახელწოდების ფურნალს, თუმცა, მას შემდეგ რაც PHOTO ფურნალ "ამარტას" დამატება აღარ არის, "თბილისის ფოტოგრაფიის სახლმა" ათვლა ხელახლა დაიწყო. უკვე დამოუკიდებლად და უკვე ახალ პარტნიორებთან ერთად.

"ფურნალ PHOTO-ს ამ სპეციალურ გამოშვებაში, რომელიც 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებული მოვლენების წლისთავისთვის გამოიცა, 11 ფოტოგრაფის პორტფოლიოა თავმოყრილი. თითოეული მათგანის სურვილის და მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ამ ფურნალის გამოცემა. სწორედ ამიტომ თითოეულ მათგანს დიდი მადლობა. ის 132 ფოტო, რომელიც ამ ფურნალში გაერთიანდა, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის რეალობას ასახავს. დღეს ის რეალობა ამ ფოტოებში ავრძელებს არ-

# ჭეშაღ მონიავა

ნანა ფრიდონაშვილი

"თეატრი საოცრებაა... საოცარია მთელი მისი სამყარო, იდუმალი და ნისლმობურული. ნაცნობი თითქოს. ერთი შეხედვით მარტივი, მოზიმი, ფუქსავატურიც, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით: - სინამდვილეში საოცრად რთული, უძირო, ჭირთათემენი და შეუცნობადი. ქალსა ჰგავს თეატრი: - ლამაზი, მომხიბვლელ, თვალწარმტაც ქალს - მომღიბარესა და მოტირალს, გულგახსნილსა და გულჩაღამებულს. თუკი მუზენი ფრთებმოფარფატი ქალწილებია, თეატრი უამრავ ნიღაბსმული მუზაა. ერთგულებისა და ღალატის, ალერსისა და ზიზლის უკიდევანო ოსტატი. სულ უნდა ელატციო, ელოლაო. სული უნდა უბერო, თორემ მტრისას..." - ამ სიტყვებს ვერ დანერს თეატრზე მხოლოდ შეყვარებული კაცი... ამის დანერას კიდევ სხვა რამ სჭირდება... თეატრში და თეატრით ცხოვრება...

ჯემალ მონიავა თეატრში და თეატრით ცხოვრობდა. კი, მას სხვა გატაცებებიც ჰქონდა - ნერდა, თან ძალიან კარგად, ხატავდა, მღეროდა, ხეზე მუშაობდა, მაგრამ მისთვის უმთავრესი მაინც თეატრი იყო... სოხუმისა და რუსთაველის თეატრების შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე მარჯანიშვილის თეატრის სცენა

ნას უერთგულა. ყველაფერში მონესრიგებული, თეატრშიც გამორჩეულად მონესრიგებულ მსახიობად ითვლებოდა. ნიჭთან ერთად, მასში, როგორც მსახიობში, ყველაზე ფასეული ის დიდი შრომისმოყვარეობა იყო, რასაც ნებისმიერ როლზე მუშაობისას არ ინანებდა. კიდევ ერთი, რითაც გამოირჩეოდა... ინტელიგენტი კაცი იყო და სცენაზე ეს ყოველთვის ჩანდა. პროფესიონალიზმის, შრომისუნარიანობისა და სწორედ შინაგანი ინტელიგენტობის წყალობით იყო, რომ არცერთ სპექტაკლში, წარუმატებელშიც კი, მის მიერ ნათამაშები პერსონაჟი არ გაგალიზიანებდათ და თვალში ზედმეტად არ მოგხვდებოდათ. ის არასდროს არაფერს "აფუჭებდა".

თეატრისა და სცენის კარგმა მცოდნემ დრამატურგიაშიც მოსინჯა საკუთარი ძალები. მისი პიესა "ალუსებელი საწყაული" დაიდგა კიდევ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე, მაშინ ახალგაზრდა გოგი თოდაძის რეჟისორობით.

მარჯანიშვილის თეატრი 80-იან წლებში ჩემს ცხოვრებაშიც განსაკუთრებულად შემოვიდა, როდესაც ჯერ კიდევ მესამეკურსელმა სტუდენტმა, მედია კუჭხიძის შემოქმედება ავირჩიე სადამბლომო ნაშრომის თემად. სწორედ მაშინ გავიცანი ბატონი ჯემალი. გავიცანი, როგორც



ჯემალ მონიავა და ნუგზარ შახიძე.

არაჩვეულებრივი პიროვნება, ხალასი, იუმორით სავსე, საოცრად საინტერესო და, როგორც პროფესიონალი არტისტი, რომელიც უმნიშვნელო ეპიზოდზეც კი გასაოცარი მონდომებითა და თავდაუზოგავი შრომისმოყვარეობით მუშაობდა.

ბოლოს ამ ორი წლის წინ გნახე, უფრო სწორედ დავინახე. მომერიდა ახლოს მისვლა... ხელჯოხის დაყრდნობილს თვალს ავარიდე, თუმცა უფრო საკუთარი თავის იმედი არ მქონდა... ჯემალ მონიავა უკურნებელი

გადმყოფი კაცის როლიც, პროფესიონალურად რომ "ეთამაშა"... ესეც მისი ღირსება და ინტელიგენტურობა იყო.

"ოცდაერთი წლის წინათ დანერო ერთ რეცენზიაში, რომელიც მის მსახიობურ შემოქმედებს ეხებოდა, ასეთი რამ ამოვიკითხე - ჯემალ მონიავამ მოკრძალებით მოსინჯა კალამი მწვენილოვანი პროექტია ჩვენი ქვეყნის იქნებ მართლაც მოკრძალებული იყო, მაგრამ დღეს მისი ნოველები, განსაკუთრებით, "კავთისხეური კიდობნის" (ციკლი საოცარი კოლორიტით, ენის ფერადონებით, სითბოთი და ადამიანის განსაკუთრებული სიყვარულით გამოირჩევა.

მე მიყვარს, როცა ჯემალ მონიავა გიორგი ლეონიძის "ოლეს" კითხულობს, მიყვარს, როცა სუფრის თავში დგას და თამადაობს, როცა თეთრ ჩოხაახალუხიანი საახალწლოდ მინ გენჯევა და კარის ზღურბლიდანვე დაიძახებს: შემოვდვი ფეხი, გწყალობდე ღმერთი, ფეხი ჩემი - კვალი ანგელოზისაო!

მე ვამაყობ, რომ ჯემალ მონიავა ჩემი მეგობარია," - ეს სიტყვები მწერალ ნუგზარ შახიძეს ეკუთვნის... ნუგზარ შახიძისა და ჯემალ მონიავას გამორჩეული, ძლიერი, კაცური მეგობრობის ამბავი ხომ ყველასთვის ცნობილი იყო...

### ბ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის №10 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ატარებს და განმეორებით აუქციონს, რომელზეც გასაყიდად გამოტანილი იქნება შპს „V და V კომპანიი“-ს (სს 206169769) კუთვნილი, ქ. თბილისში ბ. ხმელნიკის ქ. ნ.პ. ბ.76 განთავსებული ქონება, კერძოდ:

დასახელება	რაოდენობა	გამოშვების წელი	სახელმწიფო №	ერთეულის ღირებულება (ლარი)	მილიანი ღირებულება (ლარი)
1 რაფი 2203	1		ACD 025	1000	1000
2 დეკი დუბლინი	1	1998	AVA 462	5000	5000
3 მერსედეს-ბენც 609 D	1	1990	ROS 951	13000	13000
4 მერსედეს-ბენც 508 D	1	1991	IOO 382	15000	15000
5 მერსედეს-ბენც 208 D	1	1992	DHL 904	8000	8000
6 ფორდ ტრანსიტი	1	1994	ABF 523	7000	7000
7 ფორდ ტრანსიტი	1	1989	LOO 390	6000	6000
8 ფორდ ტრანსიტი	1	1994	LIL 922	5000	5000
სულ					60000

(შეფასებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დევან სამხარაოელის სახელმძღვანელო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ).

**აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 14 ივლისს დღის 12 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ბაგდადის ქ.წ.8, თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში.**

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებული არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის საღებოხით ანგარიშზე წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შექმნასაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი შედეგით, რომელიც აუქციონზე შეხვედრის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მოდინად დაფარვამდე შეიდეგებს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების ვფლება.

ქვემოთ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოსატანი ქონებას.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მსურველები 2009 წლის 14 ივლისამდე დაგვიკავშირდნენ ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრში (საგადასახადო ინსპექცია) ტელეფონზე 26-17-62

## ბ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა ტ ე ნ დ ე რ ი ს უ მ ს ა ხ ე მ

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მისამართი: ქ. ზუგდიდი, 2100 რუსთაველის ქ. №90) აცხადებს ტენდერს **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში საგანმანათლებლო დაწესებულებების გადახურვითი და ფანჯრების გამოცვლითი სამუშაოების შესრულებაზე** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
- შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 5 (ხუთი) ლოტად:
  - ლოტი №1 - აბასთუმნის საჯარო სკოლის გადახურვითი და ფანჯრების გამოცვლითი სამუშაოები;
  - ლოტი №2 - გრიგოლიშის საჯარო სკოლის გადახურვითი და ფანჯრების გამოცვლითი სამუშაოები;
  - ლოტი №3 დიდნედის საჯარო სკოლის გადახურვითი და ფანჯრების გამოცვლითი სამუშაოები;
  - ლოტი №4 ოდიშის №1 და №2 საჯარო სკოლების გადახურვითი და ფანჯრების გამოცვლითი სამუშაოები;
  - ლოტი №5 ოქტომბრის საჯარო სკოლის ფანჯრების გამოცვლითი სამუშაოები;
- შესასრულებელი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.
- სამუშაოების შესრულების საგადასახადო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 28 აგვისტომდე.
- დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად (ორიგინალის და ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით) უნდა წარმოადგინონ დასურული კონკრეტით **2009 წლის 20 ივლისს, 10 საათს 15 წუთამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-4 სართული, ოთახი №3.** სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნეს პრეტენდენტი იურიდიული და ფიზიკური პირის ხელმოწვევით მის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

#### 6.1 იურიდიული პირისათვის:

- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან, მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან);
- ცნობას, საჯარო საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოდან).

#### 6.2 ფიზიკური პირისათვის:

- ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობას, გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან);
- ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის საბუთი;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი.

#### 6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეგისტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა მასზე, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

- ინფორმაცია 2007-2009 წლის განმავლობაში ტენდერში მონაწილე პირის მიერ ანალოგიური სამუშაოების განხორციელების მოცულობის შესახებ, არანაკლებ 200 000 ლარის ოდენობით.
- ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში ანალოგიური სამუშაოების განხორციელების გამოცდილების შესახებ (სამუშაოს მითითებით, რომელიც შესრულებულ იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ, ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად):

№	სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)	შესყიდვების დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	შენიშვნა: სასურველია ხელშეკრულებების ასლების წარმოდგენა, თუ კონფიდენციალური არ არის
1				
2				
ა.შ				

- სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში მათი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს მერ მუხლში მითითებულ ცნობებსა და ინფორმაციას.
- დავანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.
- სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება **2009 წლის 20 ივლისს, 15 საათზე**, სატენდერო წინადადების მიღების ვადის დასრულებისთანავე. პრეტენდენტების თანდასწრებით, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ აღვნიშნულ ვადებში არ წარმოადგენს მერ მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგან ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მითხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.
- ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება, ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია.
- სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეძლებათ განცხადების გამოქვეყნებიდან საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადების მიღების დასრულებამდე. **შემდეგ მისამართზე ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-4 სართული, ოთახი №3.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. ტენდერში მონაწილეობაზე დაინტერესებულ პრეტენდენტებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: **ზაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი - სახელმწიფო ზაზინა, კოდი 220101222, საზაზინო კოდი 300343174, გადახდის დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.**

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ბესიკ ქარდვა - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, მისამართზე: **ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, მე-4 სართული, მე-3 ოთახი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საკონტაქტო ტელეფონი: 8(215) 5-19-39.**

სატენდერო კომისია

# სპორტი

## ბრაზილიური სიურპრიზი

"ატლეთიკო პარანანენსე" საქართველოში

მხილ აბიჯილი

2009 წლის 29 ივნისი, შესაძლოა, ქართული ფეხბურთის აღმასვლისა და განვითარებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თარიღად იქცეს. ყოველ შემთხვევაში, ამის თქმის საფუძველი დღეს ნამდვილად არსებობს. საქმე ის არის, რომ ქართულ ფეხბურთთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების სურვილი გამოთქვა ბრაზილიის ერთ-ერთმა საუკეთესო კლუბმა, კურიტიბას "ატლეთიკო პარანანენსემ". რაც მთავარია, ეს სურვილი სურვილად არ დარჩა - 29 ივნისს გაფორმდა პირველი ხელშეკრულება, რომელიც მრავალმხრივ თანამშრომლობას ითვალისწინებს.

ყველაფერი ბრაზილიაში მცხოვრები გოჩა ალადაშვილის ინიციატივით დაიწყო, რომელიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში სისტემატურად ხვდებოდა "ატლეთიკო პარანანენსეს" ხელმძღვანელობას და ქართულ ფეხბურთთან ურთიერთობის დამყარების სარგებლიანობაში არწმუნებდა. პარალელურად, საქართველოში ბრაზილიურ მხარესთან კონტაქტისთვის საფუძვლის მოსამზადებლად თბილისის "დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი გია ფირცხალავა მუშაობდა. ნამოყვება იმდენად გრანდიოზულ პერსპექტივას სახავდა, რომ უფრო ავანტიურას ჰგავდა, ვიდრე რეალობას, მაგრამ, ამის მიუხედავად, ქვეყნის ხელისუფლებაში მხარდამჭერი მაინც გამოუჩნდა ქვემო ქართლის გაუმბრუნატორის დავით კირკიტაძის სახით. სწორედ ქვემო ქართლისა და ბრაზილიის პარანას შტატის გუბერნატორების აპარატების ურთიერთობის დონეზე დაიგეგმა და შეთანხმდა იმ ვიზიტის დეტალები, რომლის მომსწრენიც ახლა ვართ. "ატლეთიკო პარანანენსეს" შეფობა პრეზიდენტის, დოქტორ მარკუს მალუსელის მეთაურობით თბილისს სტუმრობს. უკვე გაიმართა შეხვედრები სპორტის მინისტრთან, ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან, სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან და ქვემო ქართლის გუბერნატორთან. რაც მთავარია, პრაქტიკულად გაფორმდა მემორანდუმი სამომავლო თანამშრომლობასთან დაკავშირებით, რომელიც საფეხბურთო სფეროში ურთიერთობათა ფართო სპექტრს მოიცავს. ასატუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართა პრეზენტაცია, რომელზეც სტუმრებმა და მასპინძლებმა ისაუბრეს თანამშრომლობის პერსპექტივაზე.

კლუბი, რომელიც საქართველოსა და ბრაზილიას შორის საფეხბურთო ურთიერთობის პირველი ხიდის ფუნქციას იტვირთავს, არა მხოლოდ ბრაზილიური საზომებით, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით გამორჩეულია ინფრასტრუქ-



"პარანანენსეს" რამდენიმე ფეხბურთელი "ოლიმპი" ითამაშებს

ტურის, მენეჯმენტის, ისტორიისა და ტრადიციების თვალსაზრისით. "ატლეთიკო პარანანენსე" ბრაზილიის პარანას შტატის (რომელიც ფართობით იტალიას აღემატება) დედაქალაქში, ხუთმილიონიან კურიტიბაშია ბაზირებული. "პარანანენსეს" სტადიონი, რომელსაც რეკონსტრუქცია ხუთი წლის წინ ჩაუტარდა და ფიფასგან უმაღლესი ხარისხის ნიშანი - ხუთი ვარსკვლავი მიიღო, ფიფას კომისიამ ვარგისად ცნო. ეს არენა 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის მატჩებს და ერთ-ერთ მერვედფინალს უმასპინძლებს. "პარანანენსეს" აქვს მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო და ულტრათანამედროვე სანვრთნელი ბაზა, რომელიც 220 ათას კვადრატულ მეტრზე მდებარეობს და 8 სტანდარტული სავარჯიშო მოედნის, სატრენაჟორო დარბაზების, აუზების, ჩოგბურთის კორტების, მინიმოდენების, ბიბლიოთეკის, ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო კომპლექსის და ყველა სხვა აუცილებელი სპორტული ატრიბუტიკის გარდა, სამედიცინო-სამეცნიერო ლაბორატორიასაც მოიცავს, სადაც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები კლუბის სრულსამედიცინო უზრუნველყოფას ახდენენ. სწორედ ეს ბაზა პერიოდულად ყველა ასაკის ქართველ ფეხბურთელსაც უმასპინძლებს, რაც მომავალი თანამშრომლობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

კურიტიბას გარდა, ჩვენ მთელ პარანას შტატში გვაქვს გახსნილი საფეხბურთო სკოლები. ამას გარდა, კონტრაქტ-

ბი გვაქვს გაფორმებული ჩინეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. გვიხარია, რომ ამ ქვეყნების შემდეგ ერთობლივ საფეხბურთო სკოლას საქართველოშიც ვაარსებთ. ამ საკითხის შეთანხმება ყველა დონეზე გადნევილია და აქ, თქვენს თვალწინ, გაფორმებული მემორანდუმს", - აღნიშნა კლუბის პრეზიდენტის თანამშემემ რაფაელ ანდრადემ.

"საქართველოში ფეხბურთის განვითარება ბავშვთა ფეხბურთში არსებული ვითარების გამოწვევებით უნდა დაიწყო. ასეთ სახელოვან კლუბთან თანამშრომლობა, მისი მეთოდოლოგიის დანერგვა, სპეციალისტების გამოყენება და გაცვლითი პროგრამები, რასაც დღეს ეყრება საფუძველი, ამის სერიოზული წინაპირობა გახდება. ეს არა მხოლოდ რუსთავსა და თბილისში იქნება შესაძლებელი, არამედ საქართველოს ყველა იმ რეგიონში, სადაც ენთუზიასტი პარტნიორები გამოჩნდებიან", - განაცხადა გია ფირცხალავამ.

"ეს თანამშრომლობა მხოლოდ ბავშვთა ფეხბურთის დონეზე არ განხორციელდება და ურთიერთობათა ფართო სპექტრს მოიცავს. ბავშვთა ფეხბურთი, საკლუბო დონეზე თანამშრომლობა, ასაკობრივ ნაკრებ გუნდებს შორის ურთიერთობა, ეროვნული ნაკრებები ქართული იქნება პროექტში. წელიწადში ერთხელ თბილისს ესტუმრება და საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს "ატლეთიკო პარანანენსეს" პირველი გუნდი. ასაკობრივი ნაკრები

გუნდებიც ჩამოვლენ თანატოლებთან სათამაშოდ. ურთიერთობებში ჩართული იქნებიან ვეტერანი ფეხბურთელები და უზრუნველსაზრისებიც. რაც მთავარია, ამ ვიზიტებს ორმხრივი ხასიათი ექნება", - განაცხადა გოჩა ალადაშვილმა.

სულ მალე თანამშრომლობა დაიწყება რუსთავის "ოლიმპთან", რომელიც უახლოეს დღეებში, კერძოდ 2 ივლისს, ევროპის ლიგის გათამაშებაში ჩაებება. პირველ ეტაპზე რუსთაველთა მეტოქეა ფარეგების წარმომადგენელი "ზ 36", რომლის წინააღმდეგობის დაძლევა საქართველოს თასის ფინალისთვის არ უნდა გაუჭირდეს. მეორე ეტაპზე ჩვენი გუნდის მეტოქე იქნება შვედური "ჰელსინგბორგი". ამ დროისთვის "ოლიმპი" რამდენიმე ბრაზილიელი ფეხბურთელი გაძლიერდება.

"ჩვენ დავესწრებით 2 ივლისს მატჩს, რომელიც რუსთავში გაიმართება "ოლიმპსა" და "ზ36"-ს შორის. სწორედ ამ მატჩის შემდეგ გავარკვევთ, რომელ პოზიციებზე სჭირდება გუნდს გაძლიერება და ამ ინფორმაციის გადამუშავების შედეგად მოვავლენთ რამდენიმე ჩვენი ფეხბურთელს, რომლებიც "ოლიმპს" ევროპის ლიგის მეორე ეტაპისთვის გააძლიერებენ", - აღნიშნა "ატლეთიკო პარანანენსეს" დირექტორმა ბატონმა კორნეირომ.

წინასწარი ინფორმაციით, მეორე ეტაპისთვის, თუ, რა თქმა უნდა, "ოლიმპი" ამ ეტაპზე გავა, რუსთავური კლუბი 5-6 ბრაზილიელი ფეხბურთელი გაძლიერდება.



დავით კოჭირიძის სკატი

## ოსნებების რეალიზაცია

"ესტადიო სანტიაგო ბერნაბეუსთან" გრძელი რიგი დგას. ეს არჩევულებრივი რიგია, რადგან იქ არჩევულებრივი ფეხბურთელები დგანან. დგანან ორი მიზეზით - გამოიყენონ მსოფლიოს ყველაზე ტიტულოვან კლუბში მოხვედრის მანსი და პარალელურად, მიიღონ უზარმაზარი ფული. დიას, დახლზე ასეთი ძვირფასი საქონელია გამოტანილი და ამ რიგის არსებობა სულაც არაა გასაკვირი.

ფლორენტიანო პერესი მეორედ გახდა მადრიდის "რეალის" პრეზიდენტი და თუ პირველად ლუიშ ფიგუ გამოიყენა არჩევნებში მოსაგებად, ახლა კაკათი გაიკვალა გზა. მაშინ ფიგუს მოჰყვენენ ზიდანო, რონალდო, ბექჰემი, ლუენი და შეიქმნა "ელ გალაქტიკო", ფანტასტიკური ფეხბურთის მოთამაშე "რეალი". იმ გუნდის შესაქმნელად დიდი მასუთი დახარჯვა, თუმცა ეს არ იყო უსისტემოდ გადაყრილი ფული, რადგან მან, ყველაფერთან ერთად, ფინანსური მოგებაც დატოვა. წინასწარი პესიმიზმისა და კრიტიკის მიუხედავად, კმაყოფილი დარჩა ყველა - პრეზიდენტიც, ფეხბურთელებიც, მადრიდელებიც და ნეიტრალური გულშემამტკივრებიც.

დღეს ისტორიის კოპირება ხდება. დიადი კაკა და პი-ლონი სუპერსტარი კრიშტიანუ რონალდო უკვე მადრიდელები არიან. ვაკანსიაა ცენტრფორვარდის ადგილზე - ჯერ დავიდ ვილია იყო მიზანში ამოღებული, მერე ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ახლა ქარიმ ბენზემა ჩანს ყველაზე რეალურ კანდიდატად. უკვე ნაყიდა "ვალენსიას" ისე რა მცველი რაულ ალბიოლი და მიმდინარეობს მოლაპარაკება "ინტერის" ბრაზილიელ მარჯვენა მცველ დუგლას მაიკონთან, რომელიც დღეს ერთ-ერთი საუკეთესო თავის პოზიციანზე, სატრანსფერო ბაზარზე 31 აგვისტოს ისურება და, სავარაუდოდ, პერესი მანამდე კიდევ გავაკვირვებს რამით, ძალიან გემრიელით.

ბევრი, რატომღაც, ძალიან გაღიზიანებულია "რეალში" მიმდინარე პროცესით. ფეხბურთში ნაკლებად ჩახედულნი და გოგოები იმას ჩივიან, რომ კაკამ და რონალდო თავ-თავიანთ კლუბებს უღალატეს, ცუდად მოიქცნენ და, საერთოდ, როგორ შეიძლება ამდენი მაგარი ფეხბურთელი ერთად იყოს. ზოგს მიაჩნია, რომ პერესის "უპრაგონი" ხელგამლილობა სატრანსფერო სივრცეში ძლიერ დალაგებულ ფინანსურ მდგომარეობას ამღვრევს. ეს მართლაც ასეა, და ასე იყო წინა "გალაქტიკოს", ან თუნდაც რომან აბრამოვიჩის ლონდონში ჩასვლის, ან პრემიერლიგაში არაბული და ამერიკული ინვესტიციების შემთხვევაშიც, რაზეც უკვე ხმამაღლა საუბრობენ ფეხბურთის მმართველები და სულ უფრო ხშირად ისმის სპორტის ამ სახეობაში სახელფასო ზღვარის დაწესების ვერსია.

თუმცა სანამ ეს ზღვარი ოფიციალურად დაწესებულია, ფლორენტიანო პერესს სრული უფლება აქვს იყიდოს ის, ვინც მოეპირანება და გადაიხადოს იმდენი, რამდენიც გაუხარდება. ფაქტი ისაა, რომ ამ ტენდენციას პერმანენტული სახე არც ადრე მიუღია და ვერც ახლა მიიღებს.

ამოიღებს მადრიდელების ბოსი ამ ფულს? ალბათ კი, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ეს ფინანსური დეტალები სულაც არ მაინტერესებს. მე მაინტერესებს ის, თუ რა გამოვა ამ ფორმაციის "რეალიდან" და რამდენად შორს წავა მანუელ პელეგრინი ამ შემადგენლობით - ჩილენელ მწვრთნელმა სულ სხვა დონის კლუბი, "ვილიარეალი" დააყენა ფეხზე, ლამაზად თამაში ასწავლა და თუ ანტივარსკვლავურ მეთოდოლოგიას დროზე აითვისებს, წესით, გადასარევი "რეალი" უნდა დააყენოს. მით უმეტეს, რომ ამ გუნდში დიდ წარმატებებს უმეტესად სწორედ მისნაირი არამყვირალა სახელის მქონე მწვრთნელები აღწევდნენ.

ჩემი ბარსელონისტობის მიუხედავად, ძალიან გამიხარდება, თუ მოხდება ის, რაც საუკუნის დასაწყისში მოხდა, ანუ რამდენიმე გენიალური ფეხბურთელი საერთო ენას გამოიხადებს. როგორ შეიძლება ფეხბურთის მოყვარულს არ მოგონდეს ის, რომ "რეალის" შეტევაში იქნებიან კაკა, რონალდო და, ვთქვათ, ბენზემა? რა, დრენტი, დიარა და დიარა ჯობდა? რაღაც ეჭვი მეპარება. "რეალი" ხომ იმისთვის არსებობს, რომ იქ ვირტუოზები შეიკრიბონ და ზღაპრულ "ბერნაბეუსზე" ძალიან სექსუალური სპექტაკლები დადგან.

მომავალ სამშაბათამდე

### 18 წლამდელთა ნაკრები ისრაელში სასპარინგოდ გაემგზავრა

გუმინ საქართველოს ჭაბუკთა (18 წლამდელთა) ნაკრები ისრაელში გაფრინდა, სადაც იქაურ ნაკრებთან სამ აზიანაგურ მატჩს გამართავს. მიხეილ კობეშვიძის გუნდი ებრაველ თანატოლებს 29-30 ივნისს, ასევე 1 ივლისს ეთამაშება და საქართველოში 2 ივლისს დაბრუნდება. ქართველი 18 წლამდელთა ემზადებიან ევროპის ჩემპიონატის (B დივიზიონი) საკვალიფიკაციო ეტაპისთვის, რომელიც 23 ივლისიდან 2 აგვისტომდე ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში გაიმართება. ისრაელის 18 წლამდელთა ნაკრები A დივიზიონის ბინადარია და მასთან სპარინგი კობეშვიძის გუნდს გამოცდილების მიღებაში გვარაიანად დაეხმარება. ჩვენი ნაკრები ისრაელში 14 კალათბურთელით გაემგზავრა. აი, ისინიც:

**უკანა ხაზი:** გივი ბაქრაძე (დინამო), გიორგი ტეტელაშვილი (მართვე 1), ტარიელ თავართქილაძე (აკადემია), ბექა ჩიკვილაძე (პეიშევალი, ესპანეთი). მერაბ ბოქოლიშვილი (აკადემია).

**ფორვარდები:** დავით იოსელიანი (მაკაბი), აკაკი ლომოური (მართვე 2), ნოდარ თენგიშვილი (აკადემია), დუდა სანაძე (ენერჯი), ბექა ჭიჭვიანი (მართვე 2).

**ცენტრები:** ლევან სულაბერიძე (მართვე 2), ბექა ბექაური (სამედიცინო), გოგა ჯავახიშვილი (აკადემია), აკაკი დვალისხელი (ენერჯი-ინვესტი).

### ელისი "კახასოლში" გააგრძელებს თამაშს

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების აფროამერიკელმა წევრმა ტარიელ ელისმა ესპანურ "კახასოლთან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გააგრძელა. კარიერის განმავლობაში 31 წლის ელისმა გერმანული "სკაილინენსისა" და თურქული "ბეიქოთაშის" ლიგებსაც იცავდა, სევილიურ კლუბში კი 2007 წელს იტალიური "ნაპოლიდან" გადავიდა. 2008-09 წლების სეზონში ტარიელის საშუალო მონაგარი 11.3 ქულა, 1.7 პასი და 2.5 მოხსნა იყო.

# ახალგაზრდებს ევროპა თბილისში შეეხება

*"სასიამოვნოა, როდესაც პრესკონფერენციას ასეთი ლამაზი გოგონები ესწრებიან", - ფალავანთა კლუბში ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებით მოწყობილ პრესკონფერენციაზე ჭიჭიანი საერთაშორისო ფედერაციის წევრმა, თბილისის ევროპის ჩემპიონატის ტექნიკურმა დირექტორმა უნგრელმა ჩაბა ჰეგედუშმა საუბარი კოლეგა გოგონებთან დიტირამბებით დაიწყო. მერე ფილას პრეზიდენტის, შვეიცარიელი რაფაელ მარტინეტის მოკითხვა გადმოგვცა და იქვე ჟურნალისტთა მნიშვნელობაზეც მიგვიითხა: "ჩემი სურვილია ხალიჩაზეც და მის მიღმაც ვიმეგობროთ. თქვენზე ბევრი რამაა დამოკიდებული. უნგრეთიდან ვარ. ჩემი სამშობლო ისეთივე პატარაა, როგორც საქართველო. ამიტომ მეტად ვაფასებ და მიხარია, რომ ასეთი რანგის ასპარეზობას მასპინძლობთ. ქართველ ფალავანებს კი, როგორც მასპინძლებს, წარმატებას ვუსურვებ".*

### ბიბა გურასაშვილი

თბილისის სპორტის სასახლეში ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატისთვის გაალო კარი. კარი გუშინაც ღია იყო, ოღონდ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მალაჩინოსანთათვის, რომლებსაც ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის სამზადისი უნდა შეეფასებინათ.

ფილას მოხელებს მასპინძლობას უნგრეთის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი ნიკა რურუა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური და ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი კახა გენაძე. "სპორტის სასახლეში თითქმის ყველაფერი მზად არის.

უმალეს დონეზე მომზადებული ვხვდებით ევროპის ჩემპიონატს. ასეთი ტურნირი პირველად ენყოფა საქართველოში. ის ისტორიამ შევა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე კარგად ჩატარებული ჩემპიონატი, - წინდანი პირობას დებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი ნიკოლოზ რურუა, - ჩვენ აუცილებლად ავიღებთ მედლებს, რა თქმა უნდა, ოქროს. არ მინდა წინ გავუსწრო მოვლენებს, მაგრამ, იმედა, ყველა წონით კატეგორიაში უმაღლეს შედეგს ვაჩვენებთ. მაღლობას ვუხდით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს, ჭიდაობის ფედერაციას, რადგან ასეთი ტურნირის ორგანიზება ადვილი არ არის. ტურნირის კარგად ჩატარების შემთხვევაში, მალე ვუმასპინძლებთ მსოფლიო ჩემპიონატს არა ახალგაზრდებში, არამედ უფ-

როსებშიც". თბილისის ევროპის 33 ქვეყნის ნაკრები სტუმრობს. ასპარეზობა სამ სახეობაში გაიმართება: ქალთა, ბერძნულ-რომაულ და თავისუფალი სტილით ჭიდაობაში. ქალები 28-მა ქვეყანამ გამოგზავნა, თავისუფალი სტილით მოჭიდავეები - 27-მა, ხოლო ბერძენ-რომაელები - 33-მა. თავდაპირველად ხალიჩზე სუსტი სქესის წარმომადგენლები გავლენ, 2 ივლისს ესტაფეტას ბერძენ-რომაელები ჩაიბარებენ, მერე კი თავისუფლების ჯერი დადგება. საქართველოს ნაკრები სრულ მზადყოფნაშია. შარშანამავე რანგის ასპარეზობაზე თავისუფლებმა სამ-სამი ოქროსა და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს, ბერძენ-რომაელებმა კი - სამივე ხარისხის თითო მედალი.

www.liberty.ge

# თავისუფლება

N 20

30 ივნისი 2009

"თავისუფლების ინსტიტუტის" საგაზეთო ჩანართი

სკოლებისთვის უფლებების გაზრდა, მისი მართვის პროცესში ჩართული რგოლების სათანადო მომზადებას ითხოვს. მართვის ახალი სტილის ასათვისებლად, საქართველოს არაქართულენოვანი სკოლების ხელმძღვანელობას სპეციალური ტრენინგები ჩაუტარდა. ტრენინგებზე დირექტორებს სკოლის მართვის ახლებური სტილის დეტალები გააცნეს. გაიარეს სამეურვეო საბჭოს უფლება მოვალეობები და მათი ურთიერთობა დირექტორთან. დაურიგეს სპეციალური ბროშურებიც სკოლის ბიუჯეტის შეგდენის შესახებ.

ახალი კანონმდებლობის თანახმად, სკოლებს არა მარტო ბიუჯეტის განკარგვა, არამედ თანხების დამოუკიდებლად მოძიების უფლებაც აქვთ. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, კახეთის რაიონის აზერბაიჯანულენოვან სკოლებს ვაუჩერებიდან შესული თანხიდან ასობით ათასი ლარი რჩება.

"ბავშვების ვაუჩერებიდან შემოსული თანხა ყველაფერში გვეყოფნის. ეკონომიის ხარჯზე, ყოველთვიურად 10 ათასამდე ლარიც გვრჩება. წლის ბოლოსთვის დანაზოგი უკვე 400 ათას ლარს მიაღწევს. თავიდან, ამ ფულით, ახალი სკოლის აშენებას ვაპირებდით. მერე გავივით, რომ სკოლას სახელმწიფო გვიშენებს და გადავწყვიტეთ, მშენებლობას ჩვენი ფულიც მივახმაროთ." - აცხადებს იორმულანლოს საჯარო სკოლის დირექტორი - ისლამ გაბოვი.

იორმულანლოელ მოსწავლეებს არ გაუფიქრათ, რომ სკოლის მართვასა და ბიუჯეტის განაწილებაში მონაწილეობის მიღება მათ მშობლებსაც შეუძლიათ. მეათეკლასელ მარიამ ხოჯაევს კი ძალიან უნდა, რომ მის სკოლაში ფიზიკულტურის გაკვეთილი სპორტდარბაზში ტარდებოდეს, სიმღერის გაკვეთილისთვის კლასში მუსიკალური ინსტრუმენტი იდგას და სკოლის ბიბლიოთეკა უფრო მრავალფეროვანი იყოს.

"ჩვენს ბიბლიოთეკაში მარტო სახელმძღვანელოები ინახება. მე კი, სხვა წიგნების წაკითხვაც მინდა. მხატვრული ლიტერატურა რომ იყოს, ბიბლიოთეკით აუცილებლად ვისარგებლებდი" - ამბობს მარიამის კლასელი აბდულა მამდოვი.

ვაუჩერული დაფინანსებიდან შესულ ფულს ლამაზად საჯარო სკოლის დირექტორი ალაბალ ხეიხაბაროვიც ეკონომიურად ხარჯავს. -

**"დირექტორს მხრებზე თავი იმისთვის აბია, რომ იაზროვნოს. ეკონომიას ათას წერილმანზე ვაკეთებთ. მაგალითად, სარეცხის ძვირიანი საშუალების მაგივრად უბრალო საპონს ვყიდულობთ. ფანჯრების სანმენდი სითხისა და სპეციალური ჩვარის მაგივრად გაზეთს ვხმარობთ. ფულს საპირფარეშოების დეზინფიცირებაზეც ვზოგავთ. ასეთი ეკონომიის შედეგად წელიწადში 100 ათას ლარამდე ნაშთი რჩება. ამ ფულს ზოგჯერ**

პირფარეშო, მშობლები უფროსკლასელ გოგონებს არ უშვებენ. ამ სკოლაში ცოტა ხნის წინათ 1100 ბავშვი იყო, დღეს კი მათი რაოდენობა 843-მდე შემცირდა.

საქართველოს აზერბაიჯანული სოფლების სკოლებში მოსწავლეთა დასწრება ისედაც ცუდია. დუზაგამის საჯარო სკოლის დირექტორის კიას აბუზაროვის თქმით, ვისაც უმაღლესში ჩაბარება უნდა, სახელმწიფო ენის არცოდნის გამო იძულებულია, აზერბაიჯანში წავიდეს. "თანაც იქ სწავლება თერთმეტწლიანია ჩვენთან კი - თორმეტი. ერთი წელი რომ არ დაკარგონ, მე-9 მე-10 კლასიდან ბავშვები სასწავ-

## კახეთში აზერბაიჯანულენოვანი სკოლები განათლების რეფორმის გზაზე პირველ ნაბიჯებს დგამენ

მასწავლებლებისთვის ხელფასის მოსამატებლადაც ვიყენებ. მაგალითად, აზერბაიჯანული ლიტერატურის პედაგოგი არ გვეყავდა და დოცენტი ავიყვანე. მას ხელშეკრულება და ვუდე და, შედარებით, მაღალი ხელფასიც და ვუნიშნე.

სანდახან ბავშვებსაც წავახალისებთ ხოლმე და შიდა სასკოლო ოლომპიადებზე გარჯევებულებს მცირე ფულად პრემიებს ვურიგებთ." - აცხადებს ალაბალ ხეიხაბაროვი.

ლამაზლოში სკოლის შენობა იმდენად ავაერიულია, რომ მასში შესვლა სიცოცხლისთვის საშიშია. სწავლის პროცესი რომ არ შეწყდეს, კერძო სახლები დაიქირავეს და გაკვეთილებს იქ ატარებენ. მასწავლებლებს ერთი სახლიდან მეორეში სიარული უწევთ, რაც დროს მოითხოვს და, ხშირად, გაკვეთილებზე აგვიანდება. უფროს კლასებში კი მოსწავლეთა დასწრება გაუარესდა. ალაბალ ხეიხაბაროვის თქმით, მათი მენტალობიდან გამომდინარე, აზერბაიჯანელი ქალები სხვისი საპირფარეშოთი არ სარგებლობენ. ამიტომ კერძო სახლებში სასწავლებლად, სადაც გოგონებისა და ვაჟებისთვის ერთი სა-

ლებლად ბაქოს სკოლებში გადადიან." - აცხადებს იგი.

საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების უმეტესობა მომთაბარე ხალხია. ისინი მესაქონლეობით ირჩენენ თავს და თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში მთაში არიან წასულები. ბავშვებს ან ბებია-ბაბუასთან ტოვებენ ან - ახლო ნათესავებთან. უფროსკლასელები, ხშირად, მშობლებს მთაში აკითხავენ და სკოლას თვეობით აცდენენ. გარდა ამისა აზერბაიჯანელები გოგონებს ბავშვობიდანვე ნიშნავენ და, ხშირად, მე-7 კლასიდანაც ათხოვებენ. მერე ქმრის ოჯახი სკოლას განცხადებით მიმართავს, რომ მათ რძალს სწავლის გაგრძელება აღარ შეუძლია.

ბავშვების გარდა აზერბაიჯანულ სკოლებში მასწავლებელთა პრობლემაც დგას. აბუზაროვის თქმით, ვინც ახალგაზრდა და განათლებული ადამიანი იყო ყველა ბაქოში წავიდა.

"ჩვენთან მხოლოდ ასაკოვანი მასწავლებლები დარჩნენ. უკვე მეორე წელია, ინგლისურის მასწავლებელი არ გვეყავს. სოფელში ერთი ადამიანი იყო ინგლისურის მცოდნე და

ისიც ბაქოში წავიდა. რაც შეეხება ქართულ ენას, მართალია, კვირაში რამდენჯერმე ტარდება, მაგრამ ქართული ენის მასწავლებელმა აზერბაიჯანული არ იცის. აქედან გამომდინარე სწავლის დონეც დაბალია." აცხადებს იგი.

